

განთიადი და პირველი

წელიწადი პირველი.

№ 16.

ფასი 20 კპვ.

განთიადი

III

ორკვირული სამეცნიერო, სა-
ლიტერატურო და საპოლიტიკო
ჟურნალი.

შ ი ნ ა ა რ ს მ :

1. ამ დროის სურათები, გაგრძელება, გოგია ვინმესი.
2. მგზავრის შენიშვნები, ხომლეღისა.
3. სიკვდილის მთებიდან, დ. თურდოსპირელისა.
4. შემოდგომის აკორდები, ს. ტაიფუნისა
5. ბატონი ბუ, ლეგენდა, რ. საჯავახოვლისა.
6. ბაბა. დასასრული, გ. ებრალობისა.
7. * * * ლექსი, ობოლი მუშისა.
8. სალავბო წერილები, პეტრე მირიანაშვილისა.
9. კრიტიკა, ხომლეღისა.
10. ქართული პრესა.
11. გრაფ ვარანსოვ დაშკოვის მოღვაწეობა საქართველოში.
12. „ვეფხის ტყაოსანი“ რუსულათ.

15 ოკტომბერი 1915 წ.

შ უ თ ა ი ს მ

სტამბა „მზობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარეკოვისა.

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა საქმეცნიერო, ს-
ლიტერატურო და საზოგადოებრივ ჟურნალ

„გ ა ნ თ ი ა ლ“-ზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლეღის ხელმძღვანე-
ლობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ.
სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ. ხე-
ლის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივ-
ნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიღორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილ-
თან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან,
ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, კოწია გამყრელიძესთან,
ზონში - გიგლა მებუკესთან, კაჯაკში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.
ფული უნდა გამოგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридо-
новичу Панцхава.

ამიერიდან ძ. მუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშრობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე
ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი— 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგს ადრესით: ქუთაისი, რედაქცია
„სამშობლო“, თფილისის ქუჩა. სახლი პ. ი. გოციელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამო-
კიდებულია თანამგრძობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაქრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი
პორტრეტები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მიადეაწეებს გვი-
გზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია
ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი თ. ი. წინცაძე.

ორგანიზაციული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ყურნალი.

ჩვენი დროის სურათები. *)

XV.

ჩამოკრეს ზარი. გაისმა სტვენა,
 და, ვით ვეშაბი უშველებელი,
 წინ გადაშლილი ველისაკენა,
 წავიდა ხენეშით მატარებელი.
 დარჩა უკანა სადგური ძველი,
 დაპატარავდა სახლი, თუ ბანი,
 თითქო მიეკრა უბანს უბანი
 და შეიკუმშა ქალაქი ვრცელი.
 ნიკო უმზერდა, ეთხოვებოდა...
 ნუთუ, უფალო, სამუდამოა?!

XVI.

„მშვიდობით!“ ერთხელ მიუძღვნა
 თფილისს,
 მარა მისვლება განა თფილისი,
 რაშდენი ღელვის, მწველის, თუ ტკიბლის,
 მომტანი არი მიდამო მისი?!
 ჰოი, მიდამოვ, კრწანისის ველის,
 ჰოი, ნანგრევნო ნარიყალისა,
 თქვენა ხართ ფუძე მომავალისა,
 და სასაფლაოც დიდების ძველის.
 მართოდენ მარტო თქვენი ყურება,
 წმიდა განგებას ემსახურება.

XVII.

დედა ქალაქი, ქალაქი — დედა,
 აწ უკვე მთელი კავკასიონის...
 ნეტა, რას იტყვის ამ საკითხზედა,
 ძველი გუმბათი წმიდა სიონის?!
 იგი არა ჩნდა, ის შევნიერო,
 ჩამალულ იყო სადღაც ქვევითა,
 ზევით-კი, რიხით შესამწნევითა,
 გადმომდგარიყო ფუნჯულურა,
 დოინჯ-შემოყრილ, ვით ფალავანი,

გამარჯვებული, ამპარტავანი.

XVIII.

იქვე ბწყინავდა მამა-დავითი,
 საცისკამარო საკურთხეველი;
 იმით კენესაც-კი, მომაკვდავითი,
 ქრება — არა ჩანს დაურღვეველი.
 ხალხისა გულში ჩასახულია
 მის კედლის ჩრდილი, მთაზე დაშლილი,
 იქ სეირნობდა ბარათაშვილი,
 იქ ქავეჟავაძე დამარბულია...
 ოჰ, მთაო წმიდავ, ნეტავი, ოდეს,
 მეც იქ მშვიდობა მეღირსებოდეს...

XIX.

მარა აწერას მოეუსწრობ ვერა,
 წავიდა კიდევ მატარებელი,
 დარჩა უკანა ლამაზი ვერა,
 დარჩა დიდუბის გაშლილი ველი;
 დარჩა ბევრი რამ, კარგი და ავი,
 სხვა და სხვა გვარი ენა და დენა,
 ტრიალი მათი კვლავ იმოდენა,
 რო გიტრიალოს უკულმა თავი,
 და უნაყოფოთ იქ მიფხრეწილი,
 ლიადის დღისა ვრცელი ნაწილი.

XX.

დარჩა მის სახლი, მის შუშაბანდი,
 გამოკეტილი იმისი ბინა;
 ახლა სეირნობს იქ სევდის ლანდი,
 ახლა პატრონი არ არის შინა;
 ყრია წიგნები, კალამი გღია,
 მის მაგიდაზე ჯერ არც-კი მშრალი;
 მაზე ახლახან ბწყინავდა ალი,
 ზოგჯერ ოცნების, ლამაზი დია,
 ზოგჯერ კი მწველი სევდის და ფიქრის...
 ახლა — მშვიდობით! წავიდა... მიქრის...

*) იხ. „განთიადი“, № 15.

Handwritten note: მთავრობისთვის
დასაცემად
პროფ. ა.

XXI.

მიქრის, მიშხუის მატარებელი,
 ასე დროჟამის ტრიალებს ჩარხი.
 დიდების კვალი უმცდარებელი,
 გასწორებულა თამარის არხი.
 მწვანე ფერდოებს ატყვია ოღნავ,
 ძლივს დარჩენილი იმ არხის ზოლი.
 მაინც დიდება არ არის ბოლი,
 არ იფანტება ქცეული ცოდნა:
 მით ღვთაებრივი შემოქმედება
 გულს და გონებას ხშირათ ეღება.

XXII.

კურთხეულ იყოს წმიდა რამ ალი,
 ამ ოცნებისა კაცის ბუნების,
 თუ იმაშია ხსნა და წაშალი,
 დაცემისა და დაძაბუნების,
 კურთხეულ იყოს: თამარის არხი
 ახლა არა ჩანს, გასწორებულა,
 იმასთან ერთად მიმიწებულა,
 დიადი შრომა, იქ დანამარხი,
 მარა დიდება?!.. იგი-კი ვერა—
 იმას ვერ წაშლის ბედისა წერა.

XXIII

მიშხუის ისევ მატარებელი,
 მიქრის, გაისმის რაკუნის რკინის,
 გაშლილი არის დილომის ველი,
 იქ რაღაც მოჩანს... მიქროლოფს წინ ის.
 აჰა, ვიცანი: გზას მიაბტვერებს
 გიჟურათ მქროლი ავტომობილი.
 ყმაწვილი ვინმე კეთილშობილი
 შორდება თფილისს... ვერ გააჩერებს,
 მას ეს მიდამო, ვერც ძველი მცხეთა,
 ვერც მოლანდება წარსულთა ღღეთა.

XXIV.

მცხეთავ ძვირფასო! შენს არე მარეს
 შემოხვევია სიზმრები ძველი
 და მისცემია ფიქრებსა მწარეს
 ტყიანი მთები, ჭალა და ველი.
 რა იქნა შენი სასახლეების,

ამპარტავნული მხატვრულ თაღები,
 შენი ქუჩები, შენი ბაღები,
 და ჟრამული წარსულ ღღეების?!
 შენ სდუმხარ—პასუხს აღარ იძლევა,
 შენი ანკარა არაგვის რხევა...

XXV

ქართველი ერი, სულ ერთი მუქა
 აქ დაიბადა ამპარტავანი,
 მარა შეამკო, დაახუქუქა,
 მორთო დიდებით წარსული ხანი...
 იბძოდენ მედგრათ მისი შეილები,
 დამარცხებულცი ყოფილან ხშირათ,
 მარა ყოველთვის ხელში ეჭირათ,
 კავკასიონის თერმოპილები.
 სადღაა მათი სახსენებელი?
 ვინა ყავთ ახლა დამფასებელი?!

XXVI.

შვილსა, მემკვიდრეს დიდების ძველის,
 გაუქრა სევდა კეთილშობილი,
 შევბას და ლხენას ის სხვაგან ელის,
 მიქროლოფს მისი ავტომობილი,
 გაყიდა იმან ადგილ-მამული,
 წინაპართ საფლავს ააღო ხელი,
 მიქროლოფს—აჰა, კორიანტელი,
 მისი ქროლითა დაყენებული,—
 და იმალემა... შორს, მოსახვევში,
 მულამ მოწყენილ არაგვის ხევში...

XXVII

რათ უნდა იმს ტაძარი ძველი,
 ციხისა ნაშთი, ნანგრევი ხიდის,
 და მწუხარება—დარაჯი შტკველი,
 საფლავის გვერდით მეფისა დიდის?!
 წინაპართ სისხლი, დაღვრილი ბლომით,
 სხვერპლათ მამულის სამსახურისა,
 ქაფათ იქცევა შამპანურისა,
 სიხარულისა გადასაცდომათ,
 იმ ხაზიდანა, რომლისა მერე,
 კარგავს სირცხვილსა სიშვენიერე..

XXVII.

მშვიდობით, მცხეთავ!... — აჰა, ხევები,
ჩაშავებულან მთებისა ძირათ.
იქა იბძოდენ ერთ დროს დევები,
ხან—ტუტუცები (ეს უფრო ხშირათ).
მარა, მკითხველო, ნუ შევჩერდებით,
ამა წარსულის ბნელსა სტრიქონზე,
უგუნურს ბედი მოიყანს გონზე,
კინწის კვრითა და კისერში დებით,
თუმცა-კი, ბოლოს, გვიან — და არი,
სინანული და ცრემლისა ღვარი...

XXIX

შორსა მთებია—ღიადი ზღუდე,
დროთა დენითა დაუმხოველი,
ბუდე არწივთა—გმირების ბუდე,
წავის და მების წარმომშობელი.
კამკამებს ცა და შუქის ღვარშია
მწვერვალო, შემკულ თოვლით და ყინვით;
ბჭყვიანებს იგი კამარის წინ, ვით,
რამ საოცნებო მისი არშია,
სღუმს და დიდებით გაიყურება,
მისი უკუნი საამურება.

XXX

ბევრი მინახავს სხვა და სხვა მხარე,
ზღვა და ხმელეთი, გაშლილი წინა,
მინახავს მზე და მინახავს მთვარე,
სკანდინავიდან ალყირამდინა.
რაა ტიროლი ან იტალია?
ვით შევადარო ქვეყანა ჩვენი?
სიტურფე იყო მისი გამჩენი,
შექმნა და მაზე სული დალია...
სამოთხე ძველი, პირველ ედემი,
აი, ეგ იყო—სამშობლო ჩემი.

XXXI

ძვირსა სიმდიდრეს, სხვადასხვა ფერსა,
აქ უხვათ აბნეეს უხვი ბუნება,
აქ ბუნებრივით არა გძნობ მტერსა,
აქ არ გეტყობა დაძაბუნება.
მიწა და ზეცა აქ შენთან მოდის,

შენი მშველელათ, შენი დამხმარეთ,
შენ შემოგყურებს ტუჩ—მოლიმარეთ,
შენთანა რჩება სამუდამოდ ის,—
და რაღას იხამ? რა უნდა, კადრო?
რაში დახარჯო ძალ-ღონე და დროა?!

XXXII

არხი?!—რათ გინდა? აი, ჩანჩქერი,
აქაფებული ვეცხლივით მორბის.
ბალი?!—ბალია სუყველაფერი,
ფრიალო კლდეც-კი, საბუდე ორბის,
მტერი?!—ჰაჰ, ჰაჰ, რომ აადენ ბღღვირსა,
თუ შემობედა, ვინც გინდა იყოს...
აქ სწერ ლექსებსა, ტკბილ-სააშოკოს,
აქ ლხენით კოცნი საყვარლის პირსა;
აქ, თუ ცხენი გაყავს, თუ გაქვს ნაბალი—
ბედნიერება გგონია ცხადი...

XXXIII

მარა, ჰე ღმერთო, დიღება შენდა?
შენ სხვაფერად მართავ ქვეყნიერებას...
აბა, ქართველსა ვინ შეარჩენდა
მის სამოთხეს და ბედნიერებას?!
ვას არა ქალავდა სიხარბით, შურით,
ყოველ ოჯახში, იმერ—ამიერ,
გულ-უღარდელი მრავალ-ქამიერ,
ცეცხლის მფრქვეველი ცივი კახურით;
სუფრა გაშლილი და ხმლისა ტარი,
იქვე ამაყათ ხელ-დანაპყარი?!

XXXIV

თუ უდაბნოში დროთა დენისა,
ავარდებოდენ ღრუბლებერ ქვიშანი,
ნიშანი ჩანთქმის აუცდენისა,
ან სისხლის ღვრისა ბნელი ნიშანი,—
ვერ აშინებდა წარღვნით გრივალი,
ვერც ქარავანი მომავლ დროთა:
მასწყავდა თამარ, მასწყავდა შოთა,
მას ქონდა მკლავი და ისევ ხმალი...
იბძოდა ის და მის ქერის ქვეშა
ტრიალს იწყებდა კვლავ აზარფეშა.

XXXV.

საწყალი ერი!... როგორ ვაცუდლა,
მის მხნეობა და გმირული ბედი!...
სასაცილო რამ, უშნო და კულა,
მას ხელში შერჩა, მისი იმედი...
უყურებს მას და ველარ ცნობილობს,
ნუ თუ ეს იყო მისი მიზანი—
მისივე სახლში, როგორც ხიზანი,
ცხოვრობს და ამით ვერ კმაყოფილობს...
ნუთუ ამისთვის ათასი წელი,
მან რწყო სისხლითა ბძოლისა ველი?!

XXXVI.

იმედი იგი, უშნო, უკულო,
თავის წარსულის ლანდია შორი:
მზე-თვალეების წილ—ორი მუხუდო,
ოქროს თმების წილ—ბანანი ორი;
გამხდარი სახე დამხრჭვალი ხელი,
სუსტი—ნაბიჯსაც ვერა დგამს წინ ის...
გაისმის ისევ რაკუნი რკინის,
მიქროლავს ისევ მატარებელი,
და მიიჩხევა ზევითა ბოლი,
ცაზე ესუბუქათ გადანაყოლი.

გაგია ვინმე.

(შემდეგი იქნება)

მკ საჯრის შენიშვნები.

1899 წელს, შემოდგომის გასულს, მე მომიხდა ფოთიდან ქ. ნოვოროსისკს წასვლა. ნოვოროსისკში მე უნდა დარჩენილიყავი კავკასიაში მინისტრის რწმუნებულის, იაკ. სერ. მედვედევის მოწერილობის ძალით, რამდენიმე ხანი აგრონომის--კაბლერის ადგილზე, რომელიც გავსტუმრებიათ პეტროვის სასოფლო-სამეურნო აკადემიაში სახელმწიფო ეგზამენის ჩასაბარებლათ.

ფოთი *) ერთი უძველეს ქალაქთაგანია მთელს საქართველოში და დიდათ საყურათობო ალაგს წარმოადგენდა შავი ზღვის აღმოსავლეთის მხარეზე. თუ არა ვცდები, პირველათ იგი უნდა იყვეს გაშენებული ელინთაგან და უძველესი სახელწოდება იმისი იყო ფაზისი, სახელი თვითიმ დიდი მდინარისა, რომელიც აქ ჩადიოდა შავს ზღვაში. ფოთს ადგილის მდებარეობაც ისეთი აქვს, რომ იმისთვის, მიუცილებლათ, დიდი ყურათობა უნდა მიეძკიათ იმ დროინდელ განათლებულ ზღვაოსნებს და აქიდან უშიშრათ შეეტანათ უძველეს კოლხიდასა და ივერიაში აზიის დასავლეთის და ეგვიპტის უძვირფასესი ნაწარმოებნი. აქიდან-კი დიდი საქარავნო გზა მიდიოდა პირდაპირ შორაპანზე, სურამზე და მტკვრით გადადიოდენ ირანზე თვით დაშორებულ მდიდარ ინდოეთამდე. საზოგადოთ, ასეთი აზრია დღეს დამკვიდრებული ფოთის და მის გარშემო ქვეყნების შესახებ ლიტერატურაში. მარა მე ეს დიდ შემცდარ აზრათ მიმაჩნია.

მე მგონია, ბერძნებზე უფრო ვაცილებით ადრე—დიდათ დაწინაურებულ მეზღვაოსნე ხალხის—ფინიკიელთა ყურათობა უნდა მიეძკია შავი ზღვის აღმოსავლეთის მდიდარს, აყვავებულს ნაპირებს და აქ-კი უპირატესობა მდინარე ფაზისის ზღვასთან შეერთების წერტილს უნდა სჭეროდა. ფინიკიელნი იყვენ პირველი პიონერნი, რომელთაც შავი ზღვის აღმოსავლეთს და ჩრდილოეთსაც მოფინეს მშინდელი ხელოვნება, ვაჭრობა, მრეწველობა, მთელი ეგვიპტის კულტურა და მისი სხევებით გააშუქეს კოლხიდის და ივერიის არე-მარენი.

*) ფოთი ოსმალური სიტყვაა. თურმე, ნიშნავს სახლის წითელ სახურავს.

ვინ დათვლის, რამდენმა წელიწადმა, რამდენმა საუკუნოებმა განვლო მას აქით, რამდენს ღვთის რისხვას, ხალხთა აკლება-აწიოკებას და ჟღერას, რა საშინელ ისტორიულ გრივალს გადაუვლია კოლხიდის და ივერიის შვილთა თავზე. მარა ფოთი მაინც შავი ზღვის, მთელი აღმოსავლეთის მდიდარი ნაპირის კარი იყო, საიდანაც ჩვენს წინაპართა წინა-პრებს უხვათ ეფინებოდა უძველესი კულტურის და ცივილიზაციის გაუქრობელი სხივები და ქვეყანაც, დროის და გარემოების შესაფერათ, კულტურულათ ვითარდებოდა...

შავი ზღვის აღმოსავლეთს ნაპირზე ფოთს, ბათუმს შემდეგ, დღესაც, ახლაც უპირველესი ადგილი უჭირავს და ცდილობს უფრო დიდთაუც წინ წავიდეს, გასწიოს ყოველიფრათ პირველობა დიდათ ნიჭიერი და გამოცდილი მოთავის და ხელმძღვანელის წყალობით.

ფოთის ვაგზლიდან მიემართება დიდი, ფართო ქუჩა, რომელიც გაივლის მდინარე რიონზე გაკეთებულს უშველებელს ხიდს და მიადგება ქალაქის უკეთეს ადგილს—შუაგულს, სადაც გაშენებულია ქალაქის მდიდარი, დიდათ საყურათლებო ბაღი. ეს ფოთის უმთავრესი არტერიაა. ბაღშია გაშენებული ქალაქის სამართველოს სახლი და სამ სართულიანი მაღალი კოშკი, რომლის წვერში, დროის აღსანიშნავათ ყოველ საათში გააქვს რაკუნის ზარას. აქვეა დაგეგმილი ალაგი, სადაც უნდა აღშენდეს ქართული სტილის საკათედრო ტაძარი, რომლისთვისაც, ხელმწიფის ნებადართვით, მთელს რუსეთის იმპერიაში ფულები გროვდება. ირგვლივ ამ ქალაქის ბაღს შვენიერი თითო, ორ-ორ სართულიანი სახლები, მდიდარი მაღაზიები და ქუჩები არტყია. აქიდან მიდის დიდი შარა გზა გურიაში მდინარე მალთაყვაზე *). მეორე დიდი ქუჩა მიდის პარკში, რომელიც პალიასტომის ტბის

ნაპირზეა გაშენებული და პირველ მისობას იქ დღესასწაულობენ. ამ ქალაქის ბაღიდან დიდი და პირველი ქუჩა, ასეწოდებული, ხილკოვის პროსპექტით გაივლის კიდევ დიდ ხიდზე, რომელიც ბატ. ნიკო ნიკოლაძის თავობის დროს გაკეთდა მდ. რიონზე, გადაჭრის თითქმის შვაზე დიდ კუნძულს, გაივლის კიდევ ხიდზე, რომელიც რიონის ერთ დიდ ტოტზეა გაკეთებული და მიდის პირდაპირ ნავთ-სადგურზე.

ფოთის ნავთ-სადგური წარმოადგენს ერთს უშვენიერეს სანახაობას. ქვის მაღალი კედლით შემოზღუდული ვრცელს მანძილზე ზღვის ჯებე, რომლის ანკარა ზვირთებში ერთიან სამხრეთის ბწყინვალე მზის სხივები, დასრიალობენ ნავები, იალქნიანი გემები და ნაპირათაც დგანან უზარ-მაზარი საქონლის და ხალხის მატარებელი ორთქილმავალნი. კაცის თვალს იტაცებს შორი-ახლოს ნაპირზე მომდგარი ინგლისის უზარ-მაზარი გემები, რომელნიც ჩვენებური შავი ქვით იტვირთებიან. აქიდან გააქვთ ზღვით უცხოეთში ბამბა, სიმინდი, ღვინო, მატყლი, ნივების კუნძები, ყოველნაირი ხე-ტყე, აბრეშუმი, საქონლის ტყავები, შალბები, ნაბდები და სხვა მრავალ-გვარი ნაწარმოებნი ჩვენი ქვეყნისა. აქ ფუსფუსობს და ირევა ათასი მილეთის ხალხი აზიის და ევროპის კონტიტენტისა: ქართლელი, იმერელი, მეგრელი, რაჭველი, გურული, სვანი, აფხაზი, აჭარელი, ლაზი, ბერძენი, სომეხი, ოსმალი, სპარსელი, ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, რუსი და სხვა სლოვენის ტომის შვილი.

თანამედროე აზვირთებული ცხოვრების პირობებმა აქ ერთად თავი მოუყარა ამ სხვა და სხვა ყოფაქცევის, ხასიათების, კულტურის და მოდგმის ხალხს, რომელიც ყოველის საშვალბით იბძვის გამწარებით და ძალიან მღვიძარებითაც. საქართველოს ყოველი კუთხიდან შიმშილს და გაჭივრებას გამოქცეული ჩვენი მოძმე აქ პირველათ ხედავს ზღვას და ხმელეთს, ათასი უცხო ხალხის მოდგმის, აზიელის და ევროპელის შრომას და გამოც-

* მალთაყვა—რომაელების სიტყვაა. BuIta apua ნიშნავს ბევრს, დიდ წყალს.

დილებას და იმათი წამხედურობით, მიბაძვით ჩვენი ქვეყნის შვილიც ეჩვევა თან-და-თან იმ აზრს, რომ შრომისა, განათლებისა და მეცნიერების გარეშე არ არის ხსნა ამ ქვეყნათ.

ბედნიერები, მდიდრები, ყოველისფრათ დაწინაურებულნი არიან ისინი, ვინც შრომობს, ვისაც გულით და სულით უყვარს შრომა და ფხიზლათ, ცოცხლათ ცხოვრება. ამ წუთი სოფლის სიამენი მხოლოდ და მარტო ნამდვილ შრომაში მოიპოვებიან. და, აი, ამ დიდებულმა აზრმა დააწინაურა ისტორიაში გერმანია, დიდი ბრიტანია, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, საფრანგეთი და იტალიაც. ჩვენი ხალხის კარჩაკეტილობას, დაყრუებას, რომელმაც სიკვდილის კარამდი მიიყვანა ქართველი კაცი ფიზიკურათაც, გონებითაც და ზნეობითაც, აქ, ამისთანა სავაჭრო და სამრეწველო ცენტრებში უნდა მოეღოს ბოლო საუკუნოთ და განიკურნოს ქართველობა თლად საბოლოოთ. ეს კარგათ ესმის ახლანდელ ფოთის ქალაქის თავს და მთელი თვისი დიდი ტალანტი და ენერგია მზათ არის შეწიროს ფოთის განახლების დიდს საქმეს და აქ, შავი ზღვის აღმოსავლეთის კლასიკურს ნაპირზე, მდინარე რიონის შესართავთან, სოფლიო პორტის შექმნით თვისი უსაყვარლესი მამულის—საქართველოს მდიდარი არე-მარენი კვლავ გახადოს ისტორიაში კაცობრიობის განათლების გზათ და ხიდათ...

დილის რვა საათზე მე ჩავჯექი რუსეთის სანაოსნო საზოგადოების ხალხის მატარებელ გემში „Цесаревичъ Георгій“, რომელიც ერთი საუკეთესო გემთაგანია და ქ. ფოთიდან ნოვოროსისკს გაესწიე. ფოთიდან ნოვოროსისკამდე II კლასის ბილეთი ღირს 11 მან. და 50 კაპ. სადილით.

გაისმა გემის უკანასკნელი ბღავილი. იმ წამსვე მატროზებმა შექნეს ერთი უშველგებელი ფაცა-ფუცი, ასწიეს ღუზა, თვალის დახამხამების უმაღლვე გემს მოაშორეს გძელი კიბე, რომელზედაც ხალხი ნაპირიდან მიდი-მოდიოდა და... შეტოკდა გემიც. დინ-

ჯათ, ამაყათ შეინძრა და შეცურდა ზღვა-ში გემი, რომელიც თვისი წამწვეტებული ცხვირით დევით აპოდა ცისფრათ მოკამკამე ტალღებს. უცფათ გავიარეთ ძველი ნავთსადგურის კედლის კარები, რომელსაც მოეფარა ფოთი და მისი არე-მარენი და ჩვენი თვალის წინ სულერთიანა გაიშალა უსახლგრო ცისციდურეთი. გემის გვერდებზე შეხეთქებულ ზვირთებს გაქონდა გუგუნე, ხმაურობა და მის განავლებ ზღვის ზედა პირს ქაფი ვეცხლის ფრათ ერთ უშველგებელ გძელს ლენტათ გაკვროდა.

დიდებულთა ზღვა... აქ კაცი ივიწყებს შურს და ბოროტებას, მოქმის მტრობას და სიძულვილს. ადამიანები ერთმანეთს გულლიათ ეცნობებიან და გულწრფელათ, პატიოსნათ საუბრობენ. ადამიანის სინიღისი და გონება, მთელი არსება ამ დროს სრულიათ იწმინდება, კაცი ზნეობრივათ ფაქიზდება, ძალზე დანაოქებული შუბლი ფართედ ეშლება და იწყებს ფიქრს...

ამაზე უადრესი, უდიადესი მდგომარეობა კაცისთვის ხომ არ შეიძლება. ზღვაზე მოგზაურს ფიქრი გარდუქმნის არსებას, ამუშავებს ძლიერათ ქუჟას და გსურს მთელი კაცობრიობის გაბედნიერებას შესწირო თავი. ზღვაზე ადამიანი ნამდვილ უახლოვდება იდეალს...

შენიერი დარი დაგვიდგა და პალუბას არ მოეშორებივარ. აგერ, მდიდრულათ გამოწყობილი უცხო მანდილოსნები პაწია ცელქი და მოუსვენარი, სუფთათ ჩაცმული შვილებით, კომერსანტები, აფიცრები, ინტელიგენტი მოგზაურნი. აქვე იყო გამართული წიგნების გამყიდველის პატარა საწყობი და გაზეთები. ინტელიგენტები უფრო გაზეთებს ჩასჩერებოდენ და კითხულობდენ. ირგვლივ ზვირთების თამაში თვალს იტაცებდა. დილით ჩაი კარაქით დავლიეთ. მარა შვადლისას ჯამის მაღაზე მოვედი, საუზმისთვის 12 საათზე დავვირეკეს. შეენიერი საუზმე გვაჭამეს: თევზები, კალბასები, არაყი, სო-

უსები, მწვანელები და სალათა, რომელიც თავდებოდა სილით და ყავით.

მგზავრები ისევ პალუბაზე ამოვლავდით და სადილობამდი, ე. ი, ხუთ საათამდი წინდა უკან განუწყველივ ზოგი დასეირნობდა, ზოგი-კი იქვე დადგმულ სავარძლებზე სხდებოდენ. ფოთიდან მოდიოდა ერთი ახალგაზდა ტუნეიკი, რომელიც მიემგზავრებოდა ადესაში და, მერე, იქიდან ნიკოლაევი ფოთის ახალი ნავთ-სადგურისთვის ფოლადის საყიდლათ. მე და იგი ერთმანეთს დაეუახლოვდით და გზაზე საუბრით ვერთობოდით.

შვადლის გულზე მივედით ოჩემჩირეში, რომელიც პატარა დაბათ მომეჩვენა და საიდანაც მოჩანდა ერთი ეკლესია და რამდენიმე შნოიანი შენობაც. ზღვის ზედა პირზე მოსრიალე ნაევბმა იქიდანაც შეგვმატეს კიდევ ახალი მგზავრები. მომსვლელთა შორის ჩემი განსაკუთრებული ყურათღება მიიქცია ერთმა ახალგაზდა, ლამაზმა მოხელემ (პოლონელმა) და დაუწყევ ცქერა. როგორღაც მეც მივიქციე მისი ყურათღება და ერთმანეთი გავიცანიით. საზოგადოთ, ზღვაზე მოგზაურნი ერთმანეთს ადვილათ ეცნობებიან. ეს ახლათ გაცნობილი პოლონელი ინჯინერი გამოდგა, რომელსაც ტყარჩელის მიდამოები დაეთვალეირებია და გაცვიფრებული იყო იქაური ქვა-ნახშირის მადნების სიმდიდრით.

სპეციალისტების გამოკვლევით, ტყვარჩელის ქვა ნახშირის მადნები, მართლაც, უმდიდრესი მადნებია მთელ დედა-მიწის ზურგზე. და ამ მადნებმა აღძრეს და აშალეს ათასი ინტერესები რუსეთის კაპიტალისტთა და დიდ-დიდ არისტოკრატთა შორის. პირველათ-კი მადანი ქართველმა, ჩვენებურმა ვასილ ძოწენიძემ (პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში იყო ნასწავლი) აღმოაჩინა, რომელსაც შეამხანაგებელი ყავდა კარტოზია, ინჯია და წინამძღვრიშვილი. ამათ ჯერ-ჯერობით ვერაფერი ისარგებლეს... მარა, თუ აქ მუშაობა გაჩაღდა, რადგან აქაურს ქვა-ნახშირს დიდი და მდიდარი კოკ-

სი ურევია, რომლის შეერთება შავქვასთან (მანგანუმი) ზავოდებში გადასადუღებელ ქურებზე (доменные печи) იძლევა წმინდა ფოლადს, ფერომანგანს, ჩვენი ქვეყანა დიდათ წაიწვეს წინ ეკონომიურათ. ამ მადნებში მუშაობის გაჩაღება საქართველოში შექნის სრულიათ ახალს ერას, რათგან ევროპულ ზავოდების გამართვას გამოიწვევს ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში, რომლის დედა-მიწის გულში უმდიდრესი კოკსი და მანგანუმი არის აღმოჩენილი. ეროვნულ სიმდიდრის, დიდი დოვლათის ახალი წყარო კიდევ გაუჩდება ჩვენებურ მუშა ხალხს, რომელიც შიმშილით წელგაწყვეტილია დღეს...

გემიდან პირდაპირ მოჩანს თავბრუ-დამხვევი, თვალის წარმოტაკი და საოცარი სურათი კავკასიონის მთების ძირში გარდაშლილ მიდორ-ველისა, რომელზედაც სვანეთიდან მორბიან მდ. ენგური, კოდორი და სხვა პატარა მდინარენი. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი სულ ერთიანა შემოსილია შავათ დაბურულ წიფლის, წაბლის, ბზის და კაკლის უზარ-მაზარის ხეებით, მდიდარი უხვი მიწა-წყლით, რომლის ნიადაგი წარმოადგენს უუნაყოფიერეს, უშვენიერეს არე-მარეს, პირდაპირ ედემს, სადაც ყვავის ყოველგვარი ძვირფასი მცენარე სამხრეთის თბილი ქვეყნების. ამ ქვეყნიურ ედემს მალღა ზევიდან დევივით დაყურებენ გძლათ გაწოლილი კავკასიონის მაღალი ქედები, რომელნიც თვისი მწვერვალებით ზოგან ცას ებჯინებიან, ზოგან-კი თავი დაუმდაბლებიათ, ძირს დაწეულან და ხმა გაკმედილნი ამ უტურფესი ქვეყნის ცქერით ძღებიან...

სწორეთ ეს გარემოება იყო დიდი მიზეზი, რომელიც მთელი ქვეყნის ხალხებს იზიდავდა იგი. მე შორს წამიყვანს აქ მართო იმ უძველეს მწერალთა დასახელებაც-კი, რომელნიც აღწერენ ურიცხვ ხალხთა შეხლა-შამოხლას, ბძოლას ამ ედემის დასაპრობათ. ტაციტის აზრით, იბერნი ღალბანელნი იტალიელთა ჩამომავალნი არიან, რომელნიც იაზონს მოყოლიან კოლხიდაში. დი-

ონისის აზრით—კი, იბერნი (ქართლები) პირენეის ნახევარ კუნძულიდან არიან გამო-სულნიო. ასეთი მოსაზრებანი მრავალი შეი-ძლება წაიკითხოს მეცნიერმა დიოდო-რის, სტრაბონის, იუსტინის, იოსების, კედრინის ზონარის და სხვების ნაწერებში. გამოჩენილი ეთნოგრაფი ვივიენდესენ—მარტენი თვის გამოკვლე-ვებში მსწავლულთა საყურათლებოთ დაასკვნის რო მთელი კავკასიის ხალხები, მდ. არეზი, ჩრდილოეთით მცხოვრებნი, პონტის და კას-პიის ზღვის შვა ქართველ ტომის შტოებ ეჭირათ და ამას იგი მეცნიერულათ უმტკი ცებს პარიზის დიდ მეცნიერებს 1846 წელს. საქართველოს შვილთა ცხოვრებას, თოგორ-მელებს, მესხებს და თუბალებს იხსენიებს უშესანიშნავესი შვილი უძველესი ურიასტა, ნისა, მოსე წინასწარმეტყველი *) და ეზეკი-ელ წინასწარმეტყველი, რომელიც ქრ. დაბ. წინათ 600 წლ. ცხოვრობდა, თავის წიგნ-ში ამბობს, რო ქართველებს, მისგან მესე-ხათ და თუბალათ წოდებულთ, გამართუ-ლი ქონდათ ფინიკიელებთან ვაჭრობა და მონებს და სპილენძის ჭურჭლეულებას უგზა ვნიდენ მათ **).

სომეღელი.

(შემდეგი იქნება)

სიკედილის მთებიდან.

გამაცვიფრებელი სიმაჰაციოთ და სარისტია ნობით იბძოდა ერთი რაზმი.. ცეცხლის კორიან-ტელში ისე მიიბძოდა მტრის საბალთავათ, რო-გორც ჯეირანთა ჯოგი ალაღანებულ ჯეჯილი-სკენ.

უთვალავი მტერი აბობოქრებულ ზღვასა-ვით შემორტყმოდა ირგვლივ და მოუწოდებდა დანებებოლა...

ამაოთ!..

რაზმი თოფების გრილით აძლევადა პა-სუხს...

*) დაბადება, მოსეს წიგნი პირველი, თავი X.

**) ეზეკიელი, თავი XXVII, მუხლი 13 და 14.

იერიშით რო ვერა გააწყო რა მტერმა — ზარბაზნები ამუშავა...

კლდე გაცამტყერდებოდა უზარმაზარი ყუბ-ბარების გრილისგან და ერთი ბეწო რაზმი, აბა, რას გაუჩერდებოდა?!..

იძლია იგი...

დამარცხდა უთანასწორო ბძოლაში...

ყველანი დაიხოცენ..

ყველანი გულ-და-გულ შეხვდენ სიკედი-ლის ისრებს...

ზურგი არავის უჩვენებია.

როცა ზარბაზნები დაიქანცენ გამაყრუე-ბელი ხივილისგან; როცა თლად გადაიჩეხა ის ტყე, სადაც ამოწყდა მცირე რაზმი—მტრები მიუახლოვდენ, უნდოდათ გაეგოთ, თუ რა ხალ-ხი უწევდა ასეთს ზღაპრულ წინააღმდეგობას...

—ესენი სლავიანები არ არიან—ერთხმათ წამოთქვენ ჯარის-კაცებმა...

—არც ებრაელები არიან...

—არც ფინები...

—არც კალმიკები...

—არც სომხები...

—არც ლეკები...

—მაშ, ვინ უნდა იყვენ?!

—რა მზარემ, რა გოლიათმა ერმა წარ-მოშვა ასეთი გულ-კლდოვანი მამაცი ყრმანი? —?!.

—ყმაწვილებო! წარმოთქვა სარდალმა, ვინც უნდა იყვენ ეს განვირულნი-მათ ისეთი გმირობა და თავ-განწირვა გამოიჩინეს, რო ღირსნი არიან. მამაცთა შესაფერი პატივისა... დავიფიწყოთ, რომ იგინი მტრები არიან... და-ვასაფლავოთ იგინი გმირული ჰიმნით... მშო-ბელთა ცრემლების ნაცვლათ, დაე ჩვენმა, ბძოლის სიმღერამ დაიტაროს მათი უდროო დროს შეწყვეტილი სიცოცხლე...

ყველას მოეწონა უფროსის წინადადება..

დაიგუგუნა სამგლოვიარო სიმღერამ...

იწყეს თხრა სამშო საფლავისა..

მაღე შორიდან მოისმა ზარბაზნებისგრიალი...

ეტყობოდა რუსებს მოქონდათ იერიშები.. მტერი მაინც არ შეკრთა და არ გამოიც-

ვალა ბინა, ვიდრე ყველა არ დასაფლავა... როდესაც სამარეზე მიწის ვეება ზვინი აღიმართა-მათ ძეგლის ნაცვლათ, ზედ დადგეს ჯვარედინათ გადაქდობილი ორი ზარბაზანი და, ვინაობის მაჩვენებელი ფირფიტის ნაცვლათ, მიაკრეს წერილი, რომელიც ერთ-ერთ მოკლულთაგანს უპოვნეს: კარპატის მთებიდან, უცხოეთის მთებიდან გიგზაენი სალაშს, ტურფა მამულა...

შიგ ეწერა:

„კარპატის მთებიდან... შორეული მთებიდან. ერთხელ კიდევ გველებით ოცნებით, საქართველოს კეკლუცო მთებო...“

კარპატის მთებიდან, სიკვდილის მთებიდან კოცნას გიგზაენი უკანასკნელს, სამშობლო ცაო“...

ასე აღიმართა კარპატის მთებში ქართველთა სამარე.

ასე მიემატა კიდევ ერთი შავი ფურცელი საქართველოს კაეშნიან მატინეს...

ღ. თურდოსპირელი.

შემოდგომის აპოკალიფი.

ცელქი სიო მონარნარე, ობოლ მდელის დაქათათებს, ქოჩორს ვარცხნის მქნარ ყვავილებს, კოცნას აკრავს, უაღერსებს....

მთის ნაკადი მოლიკლიკე ყვავილთ მგოსანს წინწკლებს ტყორცნის შემოდგომის მკრთალი სხივი

გაძარცულ ველს სიზმრებს უხსნის.

ქარიშხალიც მძინვარებით, ხან იქ ქოხში შეიქრება, ხან ფოთოლთ გუნდს ასამარებს, და ზამთრის სუსხს ეგებება...

და იქ გლეხიც, უიმელოთ, ამ ცხოვრებას ემდურება.
— „რისთვის ვიშვი, სიკვდილამდი, თუ ეს ტანჯვა არ მშორდება...“

ქარიშხალი კვლავ ზუზუნებს, კვლავადა შლის ფოთოლთ გუნდსა... აქ აკვნესებს გლეხს—მიწის შვილს, იქ ცრემლს უძღენის მწირ-ობოლსა.

ს. ტაიფუნი.

ბატონი ბუ.

(ლეგენდა)

იყო დრო, როდესაც ქვეყნიერობაზე, რაც ფრინველია, მათი ბატონი ბუ იყო! ცხოვრობდა დიდებულათ, ხან ერთ ადგილს, ხან მეორეს. სადაც ის მიფრინდებოდა და დაბინავდებოდა, გუნდი და გუნდი ფრინველთა თან ეახლებოდნენ და მემურათ ემსახურებოდნენ. სამსახური საუცხოვოთ ქონდათ განაწილებული: ნელი ფრინავი და მაგარ ბქალებიანი დიდრონი ფრინველები გარს ერტყა მას მცველებათ. მსწრაფლ ფრინავები შორს დანაწარმობდნენ და სახდოს უზიდავდნენ. წვრილი ჩიტები-კი, კიალუას დაეძებდნენ, მოქონდათ და მით პირს უგემრიელებდნენ. ბატონი ბუ იჯდა ერთ ადგილზე, არაფრის დარდი არ ქონდა გულში, არაფერი არ აწუხებდა... მიერთმეოდა, ჭამდა და სიამით უცქერდა მხლებლებს. ვერც ერთი ფრინველი ვერ ატყობდა, ბ-ნ ბუ რას ფიქრობდა.

ნათქვამია: „მეფეთა გულნი ხელთა შინა ღვთისათაო“ და ამას მისდევდნენ ფრინველნიც. მაინც და მაინც იმის გამოკვლევაში აღარ შედიოდნენ, თუ რას ფიქრობს ჩვენი ბატონი ჩვენზე და, ან ქვეყნის ზღვასა და ხმელეთზეო. სულ ერთნაირათ სრულდებოდა ფრინველთა მორჩილება და სამსახური ბუსადმი. როცა ალიონი მოაწვედა, ინათებდა ოდნავ აღმოსავლეთისკენ თუ არა, აბა, მაშინ უნდა გენახათ, რა გულისა და ყურის დამტკობელი იყო ბ-ნი ბუს საბინადროს ნახვა. მთელი ქვეყნის ფრინველები იქ მოიყრიდნენ თავს. და იწყებოდა საერთო ლოცვა. პირველ მხარეზე ბულბულთა და იაღონთა გუნდი გალობდა; მეორეზე-სხვადა-სხვა გუნდი იყო ჩამწყვილებული: შაშვი, წრიბა, შოშია, ტოროლა, ჩხიკვი, მალალური, სკინჩა, ბელურა და სხვა და სხვა ყოველგვარ ფრინველთა გუნდები. დაიწყებოდა ათასგარ ხმებზე შეწყობილ-შეხმატკობილი გალობა. გალობდნენ: ზოგი-ბანს, ზოგი-დვრინს, ზოგი-მოძახილს, ზოგი-წყვილს, ზოგი-სტივინს, ზოგი-ზილს და ზოგიც-კრინს. საკვირველი ის იყო, რომ მათ არ ყოვედათ, არც ლოტბარი, არც კა-

მერტონს ხმარობდა ვინმე, არც ბობდანი და წინწილი ქონდათ. მარა მაინც უნაკლებო და ყურთა დამტკბობი არმონია იყო მათი ხმები... ნამღვილი, ქეშმარიტი ზეცათ გძნობა-გონების ამტაცებელი უცხო რამ ხმები იყო...

ბატონი ბუ-კი, ამ დროს იჯდა უძრავათ, დიდი თავი კატას უგავდა, დიდ თავთან მოღუნული წვეტიანი ნისკარტი უჩანდა, თვალებს ნაბავდა და, როცა გაახელდა, დიდათ შესაშინებელი შესახედავიც იყო. ცეცხლივით თვალებს, ისე გადაატრიალებდა, რო ყველა ფრინველებს შიშის ქრუნტელი დაუვლიდა ტანში! ნისკარტის ზემოთ, იქით-აქით, რქებივით, მოუჩანდა გადმოშვერილი ბუმბული და ეს სანახაობა დიდ თავთან და ცეცხლივით მოკიანაუ თვალებთან ერთად, შიშის ზარს გვრიდა მის ხელქვეითებს. ჩიტები, ისე შეჩვეული იყვნენ ბუს ერთგულებასა და სამსახურს, რო თავის დღეში აზრათ არ მოსვლიათ, თუ რა მიზეზია, რო ჩვენ პაწაწინა ჩიტები, ჩვენთვისაც ძლივს ვმოვობთ ქიალუასო და, ამის გასაძღომი კიდევ, რაფერ უნდა ვიშოვოთ, რა უქირს თვით, რო მოძებნოს ერთხელ მაინც თავისთვისო... დიდი ფრინველები-კი, აბა, სულ რათ იფიქრებდნენ ამას, როდესაც ისინი ყოველდღეს ძალიან ძღებოდნენ, რადგან ბ ნი ბუ მათ არ აქცევდა ყურათღებას, რამდენიც უნდა ექამათ, რათგან სხვა და სხვა ფრინველთაგან მოტანილი სანოვაგე ძალიან ბევრი იყო.

ბატონ ბუს, ოღონ დიდი თავი და შესაშინებელი თვალები ქონდა, თორე ქეკუაზე ცოტათი თხლათ იყო. ეს იმითი ეტყობოდა, რო თვით არაფერ განკარგულებას არ შობოდა... ყოველ გვარი საქმე გარშემო მხლებლების განკარგულებით ხდებოდა და ვილა იყო კანონიერათ განმკარგულებელი შრომისა, როცა თვით ბატონი აღარაფერს დაგიდევდა! ჩიტებს, როცა ბულის გაკეთების დრო დაუდგებოდა, ტყეებისკენ გაციოდნენ, იქ იკეთებდნენ ბუდეს, დებდნენ შიგ კვერცხებს, ჩეკდენ ბარტყებს და ამაღობაში, დრო ვადიოდა.

ბ-ნი ბუსთან ქიალუების მოტანა უგვიანდებოდათ და ამისთვის ხორცის მჭამელი, კლანქო-

სანი ფრინველები წვრილ ჩიტებს არბევდნენ, იჭერდნენ და ქამდნენ. ამავე დროს: ქორს, ძერას, შაკს, მიმინოს, ყვავს, ჩხიკვს და სხვებს დიდი უსიამოვნობა მოდიოდათ ერთმანეთში, რათგან იმათაც იგივე მოთხოვნილება, ე. ი., ბულის გაკეთება და ბარტყების დაზდა უფერხდებოდათ ბატონ ბუსთან სამსახურით. დიდ გობ ფაფას, დიდი სულის ბერვა უნდაო, ნათქვამია. და ბატონ ბუს გარშემო მხლებელ ფრინველთაც დიდი შენახვა და სამსახური უნდოდა. ამიტომ, შეიქნებოდა გაზაფხული, თუ არა, დიდი აურხაური შეიქნებოდა, საზოგადოთ. ფრინველთა შორის, რათგან ყველას მეტი ჯაფა აწვა თავზე, ცალკე ბულის კეთებასა და ბარტყების გამოზდაზე და ცალკე ბატ. ბუს სამსახურის შესრულებაზე.

მარა, ვინ ვაბედავდა იმის თქმას, რო გასაკირი გვადგიაო, სამსახური შეგვისუბუქეო?! გაახსენდებოდათ ბ-ნი ბუს დიდი თავი და ცეცხლივით ბრიალა, აკიანთებული თვალები თუ არა, საკმარისი იყო, შიშით წელი მოწყვეტოდათ. ასე, ამგვართ, მიდიოდა: დღე, კვირა, თვე, წლები... ბატონ ბუს მიჩენილი ყავდა ხელზე მოსამსახურენი: შოშია ტანს უხილავდა, ოფოფი თავს უფარცხნიდა და სავარცხალი ყოველთვის თავში ქონდა ჩარქობილი. თუთიყუში მხრებს უსწორებდა და პირში შეყურებდა: იქნება რამე სიტყვა წამოცდეს და მე გავიმეორებო; ქინკრაქა-კი, ფეხის მზანელათ ყავდა..

მთელ მფრინველებში, მარტო ორ ფრინველს ეტყობოდა ბატონი ბუსადმი ურგულობა, სხვა-კი დიდი ერთგული მოსამსახურე იყო ბ-ნი ბუჟსა. ეს ორი ფრინველი იყო: ორბი და შავარდენი. ორბი ამაყი იყო იმითი, რო ყველაზე მეტ ღონეს გძნობდა თავის სხეულში და ფიქრობდა: მე ვისი მორჩილი და ყმა უნდა ვიყო მაშინ, როდესაც, ეს ჩენი ბატონი, რო ცალი ფეხის ბჭყალში მოვივლო, სრულიათ საკმარისია, სული გავანთხევიო...

გულში ასე ფიქრობდა, მარა თავს იკავებდა, მით უფრო, რო საქმელი მუდამ მზათ ქონდა სხვა და სხვა ფრინველებიდან მოზიდული,

არაფერი შრომა არ ქირდებოდა, მუდამ მამლარი იყო და, მეტი მასაც ხომ არა უნდოდა რა. როცა ნავარდობის სურვილი მოუვიდოდა, სრულიათ თავისუფლათ, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი თავადი, ააღერდა თავს, ავიდოდა მალა-მალა შისი ღიდრონი გაწვდილი განიერი და ღონიერი ფრთებით და, სანამ უმაღლეს ცის კამარამდი არ მიაწევდა, საკუთარ, თავისუფალ სამეფოში თვლიდა თავს. მერე-კი ისევ დაუშვებოდა ძირს და იქ დაფრინდებოდა, სადაც მისთვის მუდამ მზათ იყო საზღო. ამაზე, როგორც ბ-ნი ბუ, ისე არც სხვა ფრინველები არაფერს არ ამბობდენ.—შავარდენს-კი თავის სიკჷციტის იმედი ქონდა. მას ვერც ერთი ფრინველი ვერ მიეწეოდა და ვერც დაიქერდა. ხან და ხან შვა ფრინველებში ელვასავით გამოიქროლებდა, თითქო მათდა გასაჯავრებლათ, დაესობოდა კუდზე და, თვალის დახამხამების უმალ, ისარივით, აღმა, ცის სიღრმეში მიიმალეობოდა... არაოდეს ბატონი ბუსთვის ხარკი არ მიუროთმევიო. ასე, თავის ნებაზე დანავარდობდა. ეს-კი იყო, რო ხან და ხან შეჯგროვებდა ტრედის გუნდს, შეუდგებოდა ქვეშ და, როცა საკმაოთ მალა აიწევდა ტრედის გუნდი, ერთს ისკუპებდა შავარდენი, ასცილებოდა ტრედის გუნდს დიდ მანძილზე და, მერე, დიდათ შესაშინებელი შხუილით დაემშვებოდა ტრედების გუნდებისკენ და სულ ერთიანა მიწაზე დაანარცხებდა ყველას. თვით შორე ახლო, ხეზე შეჯდებოდა და იქიდან იწყებდა ცქერას. ეს ხშირათ ბ-ნ ბუს ბინადრობასთან ხდებოდა და ამ დროს ბ-ნ ბუს მხლებლები წაესეოდენ მიწაზე დანარცხებულ ტრედებს და შეექცეოდენ. თუ ამას არ ჩავთვლოთ ბატონის მისართმევ ხარკათ, დანარჩენს არაფერ ხარკს იხდიდა შავარდენი და ყოველთვის თავისთვის დანავარდობდა და დროს ატარებდა...

ზაფხულობით საუცხოო სანახაობის მეჯლიში ხდებოდა. ყველა ფრინველები: ორბი, ძერა, შაკი, კუდ-ბოძალა, ფაყვა და სხვა ამგვარი მორირავე ფრინველები შეიყრიდენ თავს ათასობით და იწყებდენ მალა, ძალიან მალა, ჰაერზე ნავარდობას. ეს ნავარდობა და ჰა-

ერზე ფრინველთა ცურაობა მეტი-მეტი კარგი სანახავი იყო თვალთათვის; წვრილი და დაბლაფრინავი ფრინველები-კი, ამაში არ იღებდენ მონაწილეობას. წარმოიდგინეთ, ყვაე-ყორანი-კი გვარიან კარგათ ახერხებდენ მალა ნავარდს, თუმცა უშნოთ. მარა მათი ყვაე-ყვაის ძახილი, ნავარდობის დროს უმწყობროთ მიხლა-მოხლა ცარგს ჩაბეჭდილებას მოახდენდა მაყურებელზე.

ამ დროს ბ-ნი ბუ იჯდა ერთ ადგილზე, ხან და ხან თვალებს გადააყვრილებდა მონავარდ-მორირავე ფრინველებისკენ და ის-კი ძნელი გამოსაცნობი იყო, ამ სანახაობით, სიამოვნებდა იგი, თუ არა და ან, რას ფაქრობდა. ასე, ამ წესით, მიდიოდა ბატონი ბუს ბატონპატრონობა მრავალ წელთა განმავლობაში.

ერთ დღეს, როდესაც მთელ ფრინველებს ბარტყობის დრო ქონდათ, რომელთაც თან ბატონის სამსახური და თან თავიანთი ბარტყების წრიბინი აწუხებდათ: გვშია, გვაქამეო, კინქრაქას ბატონთან ფეხის დასაბანათ მისვლა ცოტათი დაუგვიანდა, თვისი პაწაწინა ბარტყების მიზეზით. ბ-ნ ბუს, თუმცა ხმა არ გაუცია, მარა ისეთ ნაირათ-კი გადაუყვრილა თვალები, რო საწყალობელ კინქრაქას სული კინაღამ გავარდა შიშით... დაუწყო ფეხების ბანა კინქრაქამ, რაც ძალი და ღონე ქონდა, გასწია და გაუქიმა ქოქები. ბ-ნმა ბუმ შეუყვირა: რას შობი, რას შობიო! განამის მეტი ქკუა არა გაქვსო? მე რო მიყურებ, თავი მაქვს ასე დიდი, თორე ღონე ერთი ნამცეცი არა მაქვსო! კინქრაქამ დიდი მოკრძალებით შებედა: ბატონო, ეს რა დასაჯერებელიაო! ბუმ უთხრა: გეფიცები ჩემი ბაღების მხესო, რო მე შენზე უფროსი ღონე არ შექონდესო. კინქრაქამ ფეხის ბანა გაათავა... გაშორდა ბუს, შეჯდა ხეზე და დაიწყო წრიბ, წრიბ, წრიბ, წრიბო... იმდენი იწრიბინა, რო, რაც ქვეყანაზე ფრინველები იყო, ყველა შეყარა. მერე, უთხრა ყველას: ბუს ფეხს ვბანდი, თითების მართვა დავუწყე და ყვირილი მორთოვო. ნუ დამანტროვ თითებსო, ჩემი შვილების მხეს ვფიცავარ. ოღონდ თავი მაქვს დიდი, თორე მე შენდენი ღონეც არა მაქვსო. რათგან ასეა, ჩვენ ჩვენთვის წავიდეთო... თუ მე-

ტი ღონე არა აქვს, ვის რას გვაწყენსო...

რა-კი ეს ამბავი მფრინვლებმა გაიგეს, მიუცინდენ ბუს, გამოეკიდენ... იკადრა ჩვენმა დიდ თავა ბატონმა გაქცევა და იმდენი იმარჯვა, რო ძლივს-ძლივობით ხის ღრუში შეასწრო, თორე დაწიწნიდენ. ამის შემდეგ, ბუ იმალემა და მხოლოთ ღამ-ღამობით გამოდის მიდგრათ. თუ ვინცობაა, დღისით, უცაბედათ, შეუხდა მიდგრათ გამოსვლა, მთელი ფრინვლები დაესევა მას და მანამდის არ მოშორდებიან, სანამ ისევე ღრუში არ შეაგდებენ.

რ. საჯავახოელი.

ბ ა ბ ო.*

(დასასრული.)

XXI.

გათენდა. ძლიერ ცუდი ტაროსი დაიჭირა. ცას პირი შეეკრა და ისე დაღვრემილათ გაცმოყურებდა დედამიწას, რო გეგონებოდათ, ეს-ეს არის ცხარე ცრემლებით მორწყოს სისხლით შეღებილი ბძოლის ველიო. შემოდგომის ცივი ქარი საზარლათ დასისინებდა და შორს მიქონდა დაჭრილ-დასახიჩრებულთა კენესა-გოდება, რო ყველასთვის ემცნო შურით და მტრობით შექმნილი უბედურება.

ბძოლის ველი დაჭრილ-დახოცილი ჯარის კაცებით იყო მოფარული. ვინ ხიშტით იყო განგმირული, ვინ ხმლით და ვინ ტყვიით.

ერთ ადგილას შეამჩნევდით ორს ერთიმეორეზე უშვენიერეს ახალგაზდას, რომელთაც ერთმანეთისთვის ტანში ხიშტები შეერქოთ და იქვე განეტყვათ გმირული სული. იგინი გზის პირათ ეგდენ და ნახევრათ ღია თვალებით ერთმანეთს შეტკეპროდენ, თითქოს უსაყვედურებდენ: „რათა, რათ დავხოცეთ ერთმანეთი?.. ჩვენ ხომ ერთ უღელ-ქვეშ ვკნესოდით, ერთნაირათვე დაბეჩავებულები ვიყავით ცხოვრებაში!...“

იქვე შორი-ახლო, ბუჩქებში ახალ-გაზდა აფიცერი ეგდო, რომელსაც თმა და ულ-

ვაშები ქარისგან გაწეწოდა და პირისახეზე მკვდრის ფერი გადადებოდა. დრო გამოშვებით, იგი თალებს გაახელდა, მოკლეთ ირგვლივ მომოიხედავდა და ისევე თვალს დახუჭავდა. რა არ გამოიხატებოდა ამ დროს იმის თვალებში: მწუხარება, უიმედობა, სასოწარკვეთილება, წყევლა... ყველა ესენი ერთი მეორეში გადაწნოდენ და თვალებით მეტყველებდენ.

—ვააი... დედი... საყვარელო... მიშველეთ... ბაბო... წამოიძახებდა იგი დრო-გამოშვებით და კვლავ დადუმდებოდა მისი უსიკოცხლო ბაგენი...

აღმოსავლეთი სისხლის ფრათ შეიმოსა. მზემ თავი ამოყო ცის კიდურიდან, უცფათ გადმოხედა ქვეყნიერებას და ისევე მიიმალა, თითქოს ვერ შეძლო ამდენი უბედურების ტკეპრაო.

მთელ არე-მარეში მკვდარი სიჩუმე გამეფებულიყო, რომელსაც, დრო-გამოშვებით, დაჭრილთა კენესა არღვევდა.

კოტა ხინიცი და შორიდან დაჭრილების გადასახიდავი ფურგუნებიც გამოჩნდა. ისინი თან და თან ახლოვდებოდენ და, ბოლოს, სოფელში შამოვიდა, სადაც წინა ღამით ბძოლა წარმოებდა.

მკურნილი, მოწყალეების დები, და სხვა მოსამსახურენი მიდროს მოეფინა.

ნახევარი საათის უკან, მიმკვდარებული მიდამო გამოცოცხლდა.

ახლათ მოსულნი ჯგუფებათ დაიყვენ და მუშაობას შეუდგენ.

ერთ ასეთ ჯგუფს ახალ-გაზდა მოწყალეების დაი გაუძღვა და ჩქარის ნაბიჯით ველის აღმოსავლეთ კუთხისკენ გაეშურა. ტანზე მას თფილი ცხვრის ქურქი ეცვა, თავზე შალი ქონდა შემოხვეული და კლავებ წაკაიწებული, ხან ერთ დაჭრილს ათვალიერებდა და დახმარებას უწევდა, ხან—მეორეს. როცა მუშაობაში კარგათ ჩაება, მას დაცხა, ქურქი გაიხადა და კაბის ამარა, რომელსაც თოვლივით თეთრი წინსაფარი უშვენებდა, განაგძო დაჭრილების შინჯვა.

* იხ. „განთიადი“, № 15.

ეს მოწყალების დაი გახლდათ ბაბო. იგი გათქმული იყო თვისი მოქმედებით, ცოდნით, და საქმისადმი დიდი სიყვარულით. და, როგორც ასეთი, მას ყველანი დიდი პატივისცემით და მორიდებით ეპყრობოდა. ხშირათ მკურნალის როლსაც-კი ასრულებდა. იგი და დაქრილებს პირველ დახმარებას დიდი გამოცთილებით აძლევდა.

ბაბომ გაშინჯა რიგი მემომართა, ზოგს რა დახმარება მისცა, ზოგს-რა.

დაბოლოს, დასამუხლებლათ გზის პირას ქვაზე ჩამოჯდა.

სწორეთ მის პირდაპირ ერთმანეთის ხიშტებით განგმირული ახალგაზდების გვამები ეგდო.

ბაბო მიაჩერდა მათ და მწარე ფიქრების მორევში გადაეშვა.

—,საბრალონი!— ებუტბუტებოდა იგი თავისთავს. გულდამწვარი დედა თქვენი, რომელთაც თქვენზე ამოდის შზე, დედობრივ ლოცვა-კურთხევას გიგზავნის, თქვენ-კი აქ უპატრონოთ გდისხართ და დაუტირებლათ უცხო მიწაში უნდა პოვოთ საუკუნო განსვენება!!... ვინ იცის, იქნება, ცოლი-შვილები გყავდათ, და, თუ არა, თვალ ცრემლიანი სატრფო მიგელით გულის ფანჯკალით და თქვენ-კი... ეხ, ცხოვრებავ!.. იქნება, გიგლაც, ჩემი გიგლაც გდია თქვენსავით გულ-გამგირული და სულს ღაფას დაუნუგეშებლათ... მე-კი... ოხ, ღმერთო... რა ვქენი ეს?... რა მომივიდა?... ვისზე გავცვალე გიგლა, ვისზე... და აცრემლიანებულ თვალებზე ცხვირ-სახოცი მიიფარა, რო სხვას არ შეემჩნია მისთვის ტირილი.

ბაბოს ნათლათ დაეხატა თვალ წინ ყოველივე წარსული: ბავშობა, გიგლასთან ურთიერთობა, სიყვარული, — შემდეგ, ინსტიტუტი—ივან პეტროვიჩი... ყოველივე ამან ელვის სისწრაფით გაიბრინა მის გონებაში; გული ბოღმა-ნაღველომა აუესო.

ახლა მის თვალში გიგლა გაიზარდა. იგი ბუმბერაზი შეიქნა, შედარებით, ივან პეტროვიჩთან. სად გიგლა, სულით სპეტაკი, გძნ-

ბით საესე, მოსიყვარულე, ბაბოსთვის თავ დადებული გიგლა, და სად მატყუარა, ფლიდი ივან პეტროვიჩი!...

მასში ჩამქრალი გძნობა კვლავ გაცხოველდა, კვლავ განახლდა მის გულში უმწიკვლო სიყვარული გიგლასადმი. მარა... რა პირით შეხედება იგი გიგლას... რას ეტყვის მის შეკითხვაზე: „ხო კვლავინდებურათ გიყვარვარ? ხომ არ გიღალატებია...?“ არა... ყოვლათ შეუძლებელია... იგი ვერ შეხედება გიგლას, ვერ გაუძღვებს მისი თვალების გამომეტყველებას.

— ვააი... მეე... მიშველევეთ...— მოისმა ამ დროს ბუჩქებიდან გულის ამრევი კვნესა.

ბაბომ ყურები აცქვიტა და იგი ელვის სისწრაფით იქითკენ გაექანა, საიდანაც კვნესა ისმოდა.

ბუჩქებში დაქრილი აფიცრები ეგდო. ბაბომ საჩქაროთ წამოაჯინა იგი, გულზე მიიყრდნო და მოსამსახურეების დახმარებით ტანისამოსის ხდა დაუწყო.

როდესაც პალტო გახადა და გულის ღილს უხსნიდა ქრილობის სანახავათ, ბაბომ პირისახეზე შეხედა მას, ცოტა ხანს დააჩერდა და გიჟივით წამოიძახა: —, გიგლა... ოხ, ღმერთო!... გიგლა... ჩემი გიგლა... — და ცოცხალ-მკვდარ გიგლას ნჯღრევა დაუწყო, რო მოებრუნებია იგი. დაბოლოს, სასუნებელმა წამალმა, როგორც იყო, გამოაფხიზლა გიგლა, თვალები უღონოთ გააღო და ბაბოს შეხედა.

— დედი... სადა ვარ... მიშველეთ... ბაბო!...; უგძნობლათ წაიბუტბუტა მან და თვალები ისევ დახუჭა.

— ოხ, ღმერთო... ჩემი სახელი წარმოთქვა... არ დავვიწყებვარ... ისევ ვუყვარვარ... გიგლა... ჩემო გიგლა... აგერა ვარ, შენი ბაბო... შენი საყვარელი ბაბო... გიიგლა!!.

— ა?!-ბაბო?! ძლივს წაილულლულა გიგლამ და კვლავ ბაბოს შეხედა.

— ხო, ბაბო, შენი ბაბო... აბა, კარგათ შამომხედე?!...

ამ სიტყვებზე გიგლა ჩააშტერდა ბა-

ბოს, ერთხანს გიჟივით უცქირა!... უცებ მო-
ხვია ხელები და გძნობით გულში... ჩაიკრა...

— ბაბო... ღმერთო ჩემო... რა ბედნიერი
ვარ... ბაბო... ჩემო ბაბოჩკა!... ჩემეკარი
გულში მაგრათ... ასე... ასე... ბააბო... ჩე... ..

— კი, კი... ჩემო სიცოცხლე... ჩემო
ღვთაებავ!.. მე შენი ვარ... სიკვდილამდი
შენი...

მარა... გიგლას ბაბოს სიტყვები აღარც
ესმოდა. ქრილობისგან ისედაც დასუსტებულ-
მა, მან ვეღარ აიტანა მოულოდნელი სიხა-
რული, მღელვარება და, ბაბოს ხელში, და-
ლია სული.

გ. ებრაელიძე.

* * *

თეთრო ღრუბელო, მშობელ ქვეყნის ციდან ლტოლველო!
ბნელ საკნის ფანჯრით შემოგცქერი ნაზათ მღელვარეს
და სულის შფოთვით გეკითხები, სხივებ-მოსილო:
კვლავ ბნელი ძალა დახარხარებს ჩემს მშობელ მხარეს?
ნუ თუ არ შეწყდა შრომის შეილის დევნა მხეცური?!..
ნუ თუ კვლავ შეფობს ბოროტება, მტრობა და შური?!..
ოხ, მითხარ, მითხარ: ჩემი სატრფო, მრავალტანჯული,
კვლავ მწარეთ მოთქვამს, თვალთ გადმოსჩქებს ცრემლთ
ნაკადული?!..

ამ მე, როდემდი ვივაგლახო, ვიკვნეს-ვიტირო?
ამ ბნელ საკნიდან მზის ლოდინში, სანამ ვიპირო?...
შენ იღიმები... გარს გეფრქვევა მზისა სიცილი...
ნაზათ მისცურავ ცის ლურჯ თაღზე, კეკოუცათ შლილი...
ეგ ღიმილი ხო საიმედო ნიშანი არის!...

ჰა, სმენას მიტკობს ტკბილი რეკა სამძოლველ ზარის!
მაშ, დე ვიტანჯო, ამ საკანში გადმოკარგულმა,
და ცის ლაყვარდში ინავარდოს მეძოლმა სულმა!...
მწამს—ცხოვრების ზღვა შეინძრევა, აგრიალდება,
და კვლავ ხსნის დროშა—ძღვეის დროშა აფრიალდება!..
მიხვალ ღრუბელო?... წადი, წადი! —შენს სილამაზეს,

შენსა შეენებას, სპეტაკობას, სიტურფ-სინაზეს,
ვერ ასწერს, ვერა... ჯერ უძღლური ჩემი კალამი! —,
და ჩემს სამშობლოს გადასძახე ჩემი სალამი!

ობოლი მუშა.

საღაყბო წერილები.

VIII. 1. 22, 1915.

იმ თავითგანვე ვფიქრობთ ტყაოსანს მტრები ჰყოლია. თქმულებაა, იოანე კათალიკოზმა კიდევ დაწვევინაო.

რამდენად მართალია ასეთი თქმულება ძველი დროებისთვის, სხვა საკითხია, მაგრამ ქართული მწერლობის აღორძინების ხანში (XVII—XVIII ს.) ვფიქრობთ ტყაოსანს რომ ათვალწუნებით უტყუროდნენ ქართველი ნაწიველი ხუცეები და მათი გავლენით ზოგიერთი საერო მწერალიც, ის კი უტყველია. ვფიქრობთ ტყაოსანი, მათი აზრით, ამაო შრომა, მხოლოდ ხორცის სარგებელი, თათრული სიყვარულის და სხვა ამგვარი წიგნი იყო. თვით გამოსარჩლებითი განმარტება, რომელიც დაურთო ვახტანგ მეექვსემ თავის გამოცემულ ვფიქრობთ ტყაოსანს, ცხადად ჰმოწმობს თუ, რამდენად გადაკიდებული უნდა ჰყოლოდა სასულიერო წოდება, თუ სხვა მათი გემოვნების ხალხი. მაგრამ უნდა ვსთქვათ ერთი მგლისკენაც. თუმცა ასე იყო, მაინც მიაჩნდათ ვფიქრობთ ტყაოსანი სიბრძნის ტბად. ასეთი იყო თვით პირველი ანტონ კათალიკოზი.

მაინც რა მოტივი აქვს ისეთი ვფიქრობთ ტყაოსანს, რომ ძველად ზოგიერთებს ათვალწუნებული ჰქონათ?

აი რა.

გრძნობა ტრფობისა, მშვენიერი, საყვარელი სახის, სხეულის სრულ ქმნილი მონაკვეთლობისაგან გამოწვეული, ისეთი ვითარების არის, რომ ავტორს თინათინისა და ნესტან დარეჯანის სიტურფე ჩვენთვის აუწერია ისე, თითქოს თვითონაც მოხიბლულ იყოს. ესევე ემართება, როცა მათ მიჯნურთა ავთანდილისა და ტარიელის, ჰსურს, რამ გვითხრას. შესტრფის მათ მშვენიერება-სილამაზეს, ისევე, როგორც მათ ძმურ მეგობრობას. ტყვე ქმნილი თავის საყვარელ გმირთა სიტურფით, ზოგჯერ თითქოს ვერ ახერხებდეს თვით იმ სიტურფის გამოთქმას და მხატვრებსა სთხოვს, დაჰხატონ. სწავლია, სხვებიც, შინაურნი, თუ გარეშე მნახველნი შეს

ტრფოდნენ მათ მასთან ერთად. სწავლია, თვით ავთანდილ და ტარიელ შესტრფოდნენ ერთმა ნერთს და უტყუოდნენ სიტურფესა. ბოლოს, ყველასგან ქებულნი იგივე გმირნი ისწრაფიან, როცა შემთხვევა აქვთ, გამოაშფლანონ თუ, რამდენად სატრფიალოა სხვებისთვის მათი მშვენიერება.

მეფის, ვეზირს, ხალხის და სხვების თვალში ავთანდილ ტურფა ვაჟია სახით და ანაგებიოთა. ნაკვთად სარო, ფერად ლალია. პირად მზეა ცისა, თუმცა ხან და ხან არ ჰმზებობს, არ ჰდარობს. მის ვარდთაგან ქარი სუნენელ სუნს მოჰბერს მნახველსა. ტანად მკვერია, ჯავარ სრული, ხმა მისი საამო სასმენელია. ახლო მყოფთათვის სალხინოა, სიცოცხლეა სულთა დგმელი, სინათლე დამწველი. მკვრეტელნი ნდომით შეჰტრფინიან, მაზე სტრფიალობენ, სულ წასულნი არიან. როცა ეხვევიან, ჰბნდებიან, თვალთა სირეტე და გულს გლახალი სცემიათ.

ტარიელისთვის მშვენიერი სატურფალია, გასაყრელათ მეტად სამძიმო ისე, როგორც იადონისთვის ვარდი.

ავტორისთვის მზეა, ნათელთა მფენელი, დღის მანათობელი, ტურფა დანაბადი, ნაზარდობით საროს მჯობი. ვარდია ლალის ფერი. მის ძოწის ფერ ბაგეთაგან გამოსჰვირს კბილები, ელვის მაკრთობელი, ხოლო კბილის ძოწის ძირს ვარდისთვის შუქი მიუფენია. მშვენიერით სრულია. როგორც სამყაროს მზის შუქი, ისე ანათებს სახლსა. ბრძენთა თუ ჰნახონ, იგიცა გჰმადგენ, როგორც ხელქმნილნი. მისი ტურფა ჰაერფეროვნება მკვრეტელს ამშვენებს. მის მელნის ტბებს მიჯარვით ჰბერავს გიშრის ქერი. შეიარაღებული ლამაზი სანახავია, ლხინია ქვეყნისა. ვაცინება უხდება. ტურფა რამე მხნეა.

სხვების თვალში ტარიელ სამყაროს და ხმელეთის მანათობელია თვისი სხიონობითა.

ავთანდილისთვის ღვთისაგან მზედ დაბადებულია, რათგანაც ახლო მყოფთა მწველია. მისი გაყრა დღის დამალამებელია. უღვაშ მშლილი უწვერული სახეა მის ერთისა, რომელიც ზეცით ზენა მნათია. მის მკვრეტელს თვა-

ლები დაულონდება ისევე, როგორც მზის ცი-
 აგის ქვრეტითა. ედემს ნაზარდი ლერწამ ტა-
 ნია, მქვრეტელთ სიხარული, ვერ მქვრეტელთ
 სივგლახება. კაცი ღირსი როდია მის ცხადად
 ნახვისა, სიზმრად უნდა ჰნატრობდეს მის ნახვა-
 სა. მქვრეტელთ მისთვის ბნედა თავის სასახე-
 ლოდ გაუთხდიათ. მისებრივ არ ვინ შობილა.
 მეგობრობის სულთა დგმაა.

ავტორისთვის ღვთისგან ანთებული ლამ-
 პარია, მშვენიერი სანახველი, საქვრეტლად სა-
 სურველია. პირსა ციმციმი უნათლესი აქვს ბაზ-
 მისა. მისი ყოფა ქცევა და ზმა მქვრეტელთ
 ხელ მქმნელია, მისი მშვენება კაცთაგან უნა-
 ხავია.

ავთანდილს ნაკლებად, თითქმის არა აქვს
 ჩვეულება, გაგვიმტლავნოს თუ, რა გვარ ჰმოქ-
 მედებს სხვებზე მისი მშვენიერება. ძმად ფიცი
 ტარიელ კი ისწრაფვის, გვიამბოს თუ, სხვებს
 როგორ მოეწონა და ეტურფა, როგორ გაუ-
 ხარდათ მისვლა მისი ტურფის და ლამაზისა,
 როგორ ჰშვენოდა ფერ მიხდილი ვარდი, ცრემ-
 ლით ნაბანი და ვინც უქვრეტდა, როგორ
 ჰბნდებოდა, რიდე მოხვეული პირმშვენიერი რო-
 გორ ხელ ჰქმნიდა ხელქმნილთა გულსა.
 ტოლნი როგორ ეძახდნენ ალვისა, როგორ შე-
 იქმნა შლილი ვარდის მსგავსი, როგორ სჯობ-
 დი მზეს თვისი მშვენიერებით და მნახავნი რო-
 გორ ამბობდნენ, მსგავსთა ედემს ნაზარდისაო.

ამაგ ხასიათის არის შემდეგი ადგილები.
 როსტევეან მეფეს, როგორც ნარდის მღერა,
 ისე მიიჩნდა ამბავი სანაძლევა ნადირობაში ავ-
 თანდილის გამარჯვების და თავის დამარცხე-
 ბისა, უხაროდა სიკეთე თავისი განაზარდისა,
 რომელსაც მიჯნურობა ჰქონდა ისე, როგორც
 ბულბულსა ვარდისა. რა მოჰჩინენ ნადირობას
 ერთმანერთს სიცილით ეუბნებოდნენ თუ, მე
 გჯობო, ამხანაგობდნენ და ლაღობდნენ.

ავთანდილ წავიდა ტარიელის საძებნად.
 დიდი ხნის სიარულის შენდეგ, მიუახლოვდა
 ერთ გამოქვაბულსა და ხეზე მოდარაჯე უქვე-
 როდა, როგორ მოვიდა ტარიელ, რომელსაც
 გამოეგება ასმათ, და პატარა ხანს უკან, რო-
 გორ გაბრუნდა ისევე ცხენითა და ქალი დაიგ-

ლა მტირალი. მაშინ ჰნახა ახლოს ავთანდილმა
 ულვაშ აშლილ-უწვევრული ტარიელ და სთქვა,
 ნუ თუ მზეა ცისაო, მაშინ ეყნოსა სუნი ქარ-
 თაგან მონატაცი ალვისა.

ასმათმა გამოიყვანა ქებაში დამალული ავ-
 თანდილ და მოჰყვანდა. ტარიელმა რა ჰნახა,
 სთქვა, მზის დასაგვანი არისო და გამოეგება.
 ერთმანერთს აკოცეს, უცხოობით არ მოჰრი-
 დებია. ვარდს ჰბლენდნენ ასე, რომ ბაგეთა-
 გან თეთრიჭებილები გამოსკვრიდა ღ ყელი ყელს
 გადააქდეს.

როგორც ავთანდილს როსტევეან მეფე,
 ისე ტარიელსა ფარსადან მეფე ჰზრდიდა შვილ-
 სავითა. თუთხმეტი წლის ტარიის უქებდნენ
 სროლას და ასპარეზობასა. დღისით იყო მეფე-
 სთან, რომელიც არც ძილად გაუშვებდა.

ავთანდილ უნდა გამოთხოვებოდა ტარი-
 ელს და ფიცი დაუდო, არაფრისთვის არ გაგ-
 წირო, კვლავ მოვიდე შენ სანახავად და, თუ
 გიტყუო და მოგაღორო, ღმერთმა რისხვით
 გამიკითხოსო. ერთმანერთი შეუყვარდათ ასე,
 რომ სწავდა მუდამ მათ გულს მხურვალეობა.
 იმ ღამეს ერთად იყვნენ მშვენიერი ამხანაგები.
 რა გათენდა, ავთანდილმა აკოცა ტარიელს და
 წამოვიდა.

ტარიელ და ავთანდილ ქვაბს მივიდნენ
 ასმათის სანახავად. შემდეგ, ავთანდილ უნდა
 გამოთხოვებოდა ტარიელს და ფრიდონის სა-
 ნახავად წასულიყო. ტარიელმა სიტყვით ასწავ-
 ლა ფრიდონის გზის მხარე. მაშინ თხა მოჰკლეს
 და მიითრიეს და შესწვეს. ჰსვეს და სქამეს. იმ
 ღამეს ერთად იყვნენ, ერთად მიწვნენ ხეთა
 ძირში. გათენებისას ადგნენ ვასაყრელად ერთ-
 მანეთს მოეხვივნენ. დიდ ხანს იდგნენ შექლო-
 ბილნი მკერდი მკერდს შეარკინეს და, ბოლოს,
 ტირილთ, პირსა ხოკით და თმათა გლეჯით
 გაიყარნენ.

ავთანდილს ფატმანის ვაცნობა და მის-
 გან ნესტან დარეჯანის ამბის შეტყობა თავის
 სატრფოს თინათინის ღალიტად დაუჯდა. ფატ-
 მან იყო ნაკეთად კარგი, შავგვრემანი და პირ
 მსუქანი, მუტრბი მომღერალთ მოყვარული და
 ღვინის მსმელი. ავთანდილ რა გაიცნო, მისი

ემშით დაიწვა და დაუახლოვდა. ერთხელ ავთანდილ ეწვია იმ დროს, როცა ფატმან არ ელოდა, მაგრამ წყენა არ დაიჩინა. ერთგან დასხდნენ და დაიწყეს კაცნა და წყლიანი ლალობა. უეცრივ კარი შემოიღო ჩაჩნაგირმა, ანუ სუფრაჯმა, რომელიც ფატმანის საყვარელი იყო და დაექადა, არ გიშლი, დიაცო, მაგრამ გამითენდება და განანებ მაგ მოყმის ყოლისათო. ფატმან შეშინდა, არ გამცეს ქმართან და მეფის დარბაზშიო. ადგა და ავთანდილს მოაკვლევინა ჩაჩნაგირი და გამოუტყდა.

შე ვლახ ვაჟე მისი ნესვი, 1)
 იგი იყო ჩემი ვადა. 2)
 კატს დასჯრის უგუღობა
 და დიაცსა პოზი ნადა 3)
 მათ არ ვსჯერვარ 4) ქმანსა ჩემს,
 მკლე არის და თვალად ნახსი.
 ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი
 არ მაცალა თუმცა ფლასი.

მერმე მოუყვა ნესტანის ამბავსა, მაგრამ ცუცხლს კვლავ იდებდა. მოყმე ნამუსს ინახავდა, სიყვარულს იფერებდა ფატმან ყელზე ეხვევოდა, მხესავით პირს უკაცნიდა. იმ დამ დასტკბა ავთანდილთან წოლითა. ვაჟი უნდო გვარად ეხვევოდა ყელზე ბროლის ყელითა. ჰკლავდა თინათინის ფიქრი, ძრწოდა იღუმალის ძრწოლითა. იტყოდა თუ,

მსახეთ, მიჯნურნო
 იგი ვინ, ვარდა ვასად.
 უმისოდ ნესვთა ზედა ვაჟი.
 ბუღბუღა მსგავსად ევაგვისად.

ფატმან კი ავთანდილზე იხარებდი, როგორც იადონი და თავი ბუღბუღი ეგონა ისე, როგორც იმ ყვავსა, რომელიც ვარდს იზოვნის.

აქ ჩამოთვლილი სხვა და სხვა გარემოება, სადაც ტრიალებდენ ავთანდილ და ტარიელ, პირდაპირ მოსდევს მათ საიდევლო მეგობრობას ხოლო თვით მეგობრობა დამყარებულია მათ მშვენიერ ამხანაგთ მსგავსებაზე, მათ მაღალ მისწრაფებაზე. სიბრძნე, ფილოფოსთა ცოდნა, რომელიც შეუძენიათ, ტარიელს ავალებს თავისი მამულის ინდოეთის კეთილდღე

ობისთვის თავის გამოდებას, ხოლო ავთანდილს იმ საკვირველი კაცის, თავის ძმად დეციის ტარიელის დახმარებას, მისი დაკარგული სატრფოს პოვნას. ტყუულად კი არ მოახსენა ავთანდილმა როსტევან მეფეს თავის შესანიშნავ ანდერძში,

მით ვისწავებთ მოგვეცეს
 შერთვა ზესთ მწყობრთა წყობის,
 ე. ი., სწავლა კაცს უნდა მაღალ საგმირო საქმეთათვისო.

დანარჩენი გარემოება, სადაც ფატმან და ავთანდილ გამოუყვანია ავტორსა, ეგრევე ბუნებრივია, ფატმან ეაქრის ცოლი იყო, არ ახალგაზდა, მაგრამ გულის ამყოლი ასე, რომ ქმარს ჰოლატობდა. ავთანდილის ეშხით დამწვარ დადაგული ხომ წმინდად შეიშალა. ამის შემდეგ, რაღა საიდუმლო უნდა ჰქონოდა ფატმანს ავთანდილთან? ადგა და ნამდვილი მიზეზი უთხრა ჩაჩნაგირის შეყვარებისა. თუ ჩაჩნაგირ ვაცად, ხოლო თავისი თავი მის ნებვად წარმოუდგინა ავთანდილსა, ეს ხომ მღაბიური ლაპარაკია ისეთივე, როგორც ზოგჯერ პარიზელი კოკოტი მისწერს თავის საყვარელსა, ჩემო ციკუნია, გწერს შენი თავუნაო. მისი გააუთრება კადევ ვიდრე საყვარელის მოკლევინებაშდის გამოიწვია, შიშმა, რომ მის ქმარს და მეფის დარბაზს არ შეეტყოთ მისი ამბავი. სულ სხვა საკითხია ავთანდილის საქციელი, მისი მოლატობა თინათინის წინაშე. შეიძლება ზოგმა არცეს უძრახოს ავტორის შემოქმედობას და საბუთი იპოვნოს ავთანდილის გასამართლებლად.

ძველ დროს, როცა ქართველ ხალხს სწავლა განათლება მშობლიური ჰქონდა გონების გასავითარებლად, ვეფხის ტყაოსანი ათასჯერ უკეთ ესმოდათ, ვიდრე ჩვენ საკუთარ დაღუპულ და უცხო განათლებაზე მყოფთ. მამასა-დამე, იმ საკვირველი ქმნილების გავლენა გაცილებით უფრო ძლიერი და საგრძობელი უნდა ყოფილიყო. ესლა კი წყალივით წაკითხვაც გაქირებულა, არა თუ მისი გავება.

ბერი, რომელიც სავანის ზღუდეთა შორის გამომწყვდეულ იყო და მუდამ სულის სარგებელი წიგნების კითხვისა და ცბონების ფი-

1 დედალი თხა, 2, მამალი თხა.
 3, უკანატანი, 4, არ მყოფნი

ქრში იყო, როგორც ირემი წყაროს, ისე და-
ეწაფებოდა ვეფხის ტყაოსანსა, ყურადღებას
შიაქცევდა უფრო მის გარეგან მხარეს, ე. ი,
იმ მოტივს და იმ სხვა დასხვა გარემოებას,
რომელიც აქ შემოვიტანე, ვიდრე მის სიბრძნე-
სა, მის დედა-აზრს, უმაღლეს ილიას, რომე-
ლიც გამჟღავნებდა გულსა და სულში ტარიელს
და მის სატრფოს ნესტან დარეჯანსა. მაშინ
ხომ წუთი სოფლის საცდური დაიპყრობდა
დაყუდებული, მარტო მყოფი ბერის გულის
თქმას და გრძნობა გალღობული ჩაუვარდებო-
და ხელში ეშმაკსა, რომლისგანაც მანამდის
ქმნილ იყო. მოხარდი ახალთაობის საკითხა
ვადც არ უნდა ყოფილიყო შესაფერი ერთი
ადგილი მაინც პოემის, ი. ი, ფატმანის და
ავთანდილის აშოკობისა.

ვისრამიანი ხომ თუ მეტი არა ნაკლები
საცდური არ იქმნებოდა მათთვის.

ვისრამიანის და ვეფხის ტყაოსნის მოვ-
ლენა ცხადად ჰმოწმობს თუ, ქართული სიტყვა-
კაზმული მწერლობა რა ადრე გათავისუფლე-
ბულა ხუცური სტილის და მოტივებისაგან.

პეტრე მირიანიშვილი.

კ რ ი ტ ი კ ა .

ილია ჭავჭავაძე, როგორც ღირსიკაცი — პეტეი.
(27 ღვინობ. 1837—30 აგვ. 1907 წ.)

VI

„ნეტა, ვინა კარგი საქმით
აღნიშნავს თავის დროსა,
ის იქვე ეწაფება
უკვდავების წყაროსა!...“

ილია ჭავჭავაძე.

უფრო ბძნული პოემა „აჩრდილი“
წმინდა რომანტიული მიმართულების ნაწარ-
მოებია. ეს შესანიშნავი პოემა მგოსანმა და-
წერა 1860 წელს, ესე იგი, იმ დროს, რო-
ცა საქართველოში ბატონ-ყმობა არ იყო
გადავარდნილი და, ამიტომაც, აქ, ამ პოე-
მაში, ყმის აუტანელ მდგომარეობას, „შრო-
მის შვილის“ გათავისუფლებას უძღვნა XI,
XII, XIII, XIV და XV თავი. ამ პოემაშივეა
საქართველოს გაუბედურების და დაცემის
მიზეზებიც ნაჩვენები და მის მომავალზე ზრუნ-
ვასა და „მამულისთვის უფლებას“ უძღვნის
მგოსანი შესანიშნავს სიტყვებს...

მარა „აჩრდილის“ ამ მეორე საგანს ქვე-
ვით შევეხები და ახლა მინდა შევაჩერო
მკითხველის ყურადღება იმაზე, თუ, რა სი-
ტყვებით აღწერა მგოსანმა „შრომისშვილის“
მდგომარეობის გაუშჯობესობა. პირველათ
ჩვენში განსვენებულის მგოსნის პოეზიის ამ
მხარეს ყურადღება მიაქცია ქუთაისის მაშინ-
დელმა წარმომადგენელმა და თვის სიტყვაში, რო-
მელიც მან ცხედარს უთხრა, აღნიშნა, რომ ამ ორ-
მოც და შვიდი წლის წინათ ილიამ აღიარა:

„შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი,
ძღვევა მოსილის ამ საუკუნის,
და ამ ზვიადმა საუკუნემა,
უნდა შეას იგი შრომის სუფევა...“

პოეტი ხმა მალლა ამბობს, რა „შრო-
მის ახსნისთვის“ ატეხილ ბძოლაში „შრო-
მისშვილს“ არ დაეხმარება, არც ერთი სხვა
წოდება, არც ღვედელი და ვაჭარი, არც
ლიღ-კაცობაო, რათგან

ის, რათ ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედკრულობა?
რათ შევებძვის ის ბოროტებასა,
როს მეოხებით მისით თვით რჩება? .

„შრომისშვილს“ მარტო თვისი თავის
იმედი უნდა ქონდეს ამ დიად ბძოლაში,
რო ძველი ქვეყანა დაანგრის და შრომა-
კი გათავისუფლოს.

შრომა, ამ ქვეყნათ ტყვეთა პყრობილი,
მძარცველების ქვეშ ჩაგრულ ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამხვრევლათ გამზადებულა.

ამ ნიადაგზე აღმართულ „კაცთა ღელე-
სა დიად ზვირთს“ ველარ გაუძღვებს ქვეყ-
ნის მძარცველი და შრომის სუფევა
მოვა მაშინ“, რომელიც გამოიხატება შემ-
დეგში:

მაშინ, მაშვრალი, შენც განკაცდები,
წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძინს ზრ დასწევ, თვით მაღლდები,
არც გის ემსხვი და არც იმხნებ.

მიუცილებლათ, ამ სიტყვებით ილიამ
სოციალიზმი აღარა. მარა ეს სოციალიზმი
სენ—სიმონისა (იხ. ნ. ჩერნიშევსკის ვრცელი
სტატია მაშინდელ „სოცრემენიკში“) და
რობერტოვენის (იხ. ნ. დობროლიუმოვის
სტატია, იქვე) სოციალიზმია, რომელიც
უარს ყოფდა გაბატონებულს წეს-წყობილე-
ბას. მარა კლასთა ბძოლას მაინც არა

სცნობდა.*) რომ ილია ჭავჭავაძეს არ ქონდა გათვალისწინებული და შევანებული კლასთა ბძალოს თეორია და პროლეტარიატის ისტორიული როლიც არა სწამდა, ეს იქიდან ჩანს, რა თვის შესანიშნავს „ოთარანთ ქერივში“ მან ხმა მალა აღიარა, რომ თავად აზნაურთა და გლეხთა შორის ხადიაო ჩატეხილი. ეს დიდი გაუგებრობა და შეცდომა აქვს ჩვენს მგოსანს აქ გამოთქმული. ეს გაუგებრობა მთელი თვისი ტრაგიზმიან გამოერდა ჩვენში, ნამეტურ ქართლში, ასე წოდებულ, გამათავისუფლებელ მოძრაობის დროს. და ეს შეცდომა ჩვენს სახელოვან მწერალს იმიტო მოუვიდა, რომ ვერ ამჩნევდა ახალი დროის დიდ მნიშვნელოვან ამბავს—კლასთა ბძალოს...

ახალი დროის ვითარებამ წოდებანი ჩვენშიაც უკვე ფაქტიურათ მოსპო და თავადიც, აზნაურიც და გლეხიც შერევა ერთ დიდ ქართაში... ამ ჩვენი დროის დიდი ბატონი ფულია. მის წინაშე მუხლს მოწიწებით იდრეკს ძველი ნაშინაყმევიც და ნაბატონარიც, ყრმაც და მოხუციც, დიაციც და მამაციც. მან სრულიათ დაისასაკუთრა შრომის და წარმოების ყოველი იარაღი და სრულიათ, ჯერ არ ნახული, არც გაკონილი ცხოვრების პირობებით აღბეჭდა შრომის მდგომარეობაც...

ამ მდგომარეობამ ასტეხა დღეს კლასთა შორის დიადი, ისტორიული ბძაოლა, არა თუ ევროპის კონტინენტზე, მთელ ხმელეთზე და უნდა ასტეხოს, რა თქმა უნდა, ჩვენშიაც...

თუმცა ილია ჭავჭავაძეს ეს ახალი დროის ამბავი არ ქონდა ნათლად გარკვეული, მარა დაჩაგრული კაცობრიობის მდგომარეობა...

*) მ-ნ პ. გლეგიშვილივით სენ-სიმონსა და რობერტოუნს ძველი ფეოდალური ცხოვრებისა და ბატონ-ყმობის მოტრფილეთ მაინც არაეინ სახავდა და არც დასახავს დღეს, როგორც ის უწოდებს ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც კლასთა ბძაოლა არა მწამდა.

ავტ.

მარეობა ჩვენ მგოსანს ყოველთვის აფიქრებდა, მისი ტემპერამენტი არ ისვენებდა... ეგ ფიქრი მას „კირსა და ლხინში წინ მიუძლოდა“, და ამიტომაც, დაწერა ლექსი „პარიზი“, სადაც 1871 წ. დიდი კომუნის ბძაოლა, „შრომის ახსნისთვის“ ატეხილი, „ქვეყნისა მზავრავ ძალამ დასკა დაბლა და კვლავ შეფერხთა ისტორია, განახლების შედგენ ძალნი, და კვლავ დღესასწაულობენ, გამარჯვებული მტარვალნი.“

მშრომელი ხალხის უზომო სიყვარული და მისი საშინაური მიზნათ აქვს გატარებული ილიას პატარა ლექსში- „პოეტ“, რომელიც დაიწერა 1860 წ. ამ ლექსის დაწერის ერთი წლას წინათ ეურნალ „СОВРЕМЕННИКЪ“-ში დაისტამბა ნ. დობროლიუბოვის ვრცელი განხილვა რუსეთის ლიტერატურის (ეს სტატია მოთავსებულაა დობროლიუბოვის თხზულებათა I ტომში), სადაც კრიტიკოსი პუშკინის პოეზიას ხალხისთვის ირავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, რათგანც, იმის აზრით, პუშკინი ფრინველივით უსავნოთ მღერისო და ხალხის ტანჯვით არ ეწვის გულიო. უეჭველია, ამ სტატიის გავლენის ქვეშ, ილიამ დაწერა „პოეტი“, რომელიც „მარტო ტკბილ ხმებისთვის არ გამოუგზავნია ქვეყნათ ცას“.

დიდი დმერთის საკურთხეველის, მისთვის ღვივის „ცეცხლი გულში, რომ ხალხისა მოძმეთ ვიყო ქმუნვასა და სიხარულში; ხალხის წყალული მიჩნდეს წყალულათ, მეწოდეს მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით დამედავოს მტკიცეთ გული...“

როცა „ქართველთა ამხანაგობამ“ ილია ჭავჭავაძის ნაწერების გამოცემა დაიწყო, პოეტმა ვადათვალიერა თვისი ლექსები და ზოგან სიტყვები შეცვალა. „პოეტში“ მან ამოშალა სიტყვა „ხალხი“ და, მის მაგიერ, დაწერა „ერი“...

შეცდომა პოეტისა ამ ჩინებულ ლექს-

ში ის არი, რომ იგი რომანტიკოსი პოეტებისათვის თვის თავს „ზეციერს“ უწოდებს, რომელიც დაუნიშნავს ცას, რომ ხალხს წინ წარუძღვებს. ეს შემცდარი აზრი პოეტებზე დარღვეულია, არა თუ დღეს, დარღვეული იყო იმ დროსაც, როცა დაიწერა ილიას „პოეტი“ და, საკვირველია, ასეთი შეცდომა იმ ახალი, ჩვენი დროის პოეტისგან, რომელიც თვის სიტყვას დიდის ანგარიშით და დაფიქრების შემდეგ იტყვოდა ხოლმე.

მეორე დიდი საგანი, რომელსაც თავს დატრიალებს ილია ქავეკვაძე თვისი ლექსებით, ზევეთაც გვქონდა მოხსენებული,

ამ დიდ საგანს მოუმზადა ნიადაგი გასული საუკუნის 60-იანმა წლებმა იმით, რომ ამ ხანებში მოხდა პოლიტიკური გათავისუფლება იტალიისა

ამ გამომდინარეობამ ოდნავაც ვერ გაანელა სამოციან წლების ლიბერალთა ენტუზიაზმი და გატაცება. ისინი აღუჩნდნენ ახლათ ფეხ-აღმუღ ცხოვრებას ბწყინვალე ლამპრათ და აღტაცებულს ჰიმნს და საგალობელს უძღვნიდნენ

მთელი ევროპის დასავლეთის მწერლობა, ცხოვრება და თვით დიპლომატიაც-კი მხნეთ გამოესარჩლა შვენიერ იტალიის დაჩაგრულ ერის ბძოლას და ეროვნების გათავისუფლების დიადი პრინციპი საქვეყნოთ წინ წამოაყენა. ამ დროს იყო, რომ იტალიის გენიოსური ერი გმირულათ ებძოდა ავსტრიის დესპოტიას გათავისუფლებისთვის. და ამ საარაკო, შესანიშნავის ბძოლისთვის მთელი კაცობრიობის სიმპათია სამართლიანათ დაიმსახურა მან. რა თქმა უნდა, ასეთ დიდ ისტორიულ ამბავს ისეთ ნიჭიერ ქაბუკზე, როგორც ილია ქავეკვაძე იყო, დიდი ზედმოქმედება უნდა მოეხდინა. მართალია, 60-იან წლებზე უფრო ადრე ქართულ ლი-

რიკაშიაც ისმოდა საერო პანგი, ნაციონალური მოტივი, რისთვისაც იმ დროის ახალგაზდობამ ფრთებიც შეიტკუსა. მარა იმ დროის ახალგაზდობას სურდა აღედგინა საქართველო ძველებური, სწორეთ ისეთი, რომ გარც საშვალ საუკუნოებში იყო.

*) და ამაშია მთელი გასხვავება ძველი თაობის ქართული ლირიკის და ილიას და იმის ამხანაგთა ლირიკისა.

პოლიტიკაში კონსტიტუციონალიზმის აღიარება, ისეთივე წმინდა დემოკრატიული პრინციპი იყო, როგორც ყმების გათავისუფლების სოციალური რეფორმა იყო დემოკრატიული მიმართულების პრინციპი. აი, ამ ორი დიადი პრინციპის მუხრვალე მოსამსახურე იყო ჩვენი ახალ-გაზდა ლიბერალი ილია, რომლის პარველი მინუშები უკვე ვუჩვენეთ ზევეთ წერილებში.

ილია ქავეკვაძემ პირველათვე (პოემა „აჩრდილი“) საქართველოში გაბედვით აღიარა ეს დიადი პრინციპი,
„...რო ქვეყნათ ცასო,

*) დიდათ შემცდარი იყო განსვენებული ივ. სპ. ჯაბადარი, რომელიც ერთს თვის რუსულ სტატიაში. სრულიათ უსაბუთოდ ბრალსა სდებდა 60-იან წლების ქართველ მოღვაწეებს (უფრო ბატ. ნიკო ნიკოლაეს), რომ იმათ სურდა აღედგინა ძველი, საშვალ საუკუნოების საქართველო...ეს, შეიძლება, ითქვას ძველ, გრიგოლ ორბელიანის თაობაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის გამორიცხვით, რასაკვირველია.

მართალია, ჩვენ ვერ დავამტკიცებთ იმას, რომ ბარათაშვილის იდეალი იყო მარა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ იგი შეტრფოდა („საფლავი მეფის ირაკლისა“) ახალს საქართველოს, რომელსაც ისტორიამ უჩვენა სრულიათ ახალი გზა...

„სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი“... გრიგოლ ორბელიანს გადუღვებოდა და ახალს, ილიას თაობას ამოუღვებოდა გვერდში. ეს ჩემთვის, პირადათ მაინც ყოველს ექვს გარეშეა.

— ღვთად მოჴცია მარტო მამული...*)“
და იმას უნდა შეწიროს თვისი ნიქებუ-
ლობა.

რაკი პოეტმა მამული ღმერთად აღი-
არა, მთელ ქართლოსიანთა ერში იგი ეძი-
ებს ვაჟაკს, „იმ სანეტარო გმირს“, რო-
მელსაც ღირსება „მამულასთვის თავის და-
დება“, მარა ვერ პოულობს და გამწარებით
მთა—ბარს შებღავის:

მარა, ქართველნო, სად არი გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვტირი?
იგი აღარ გვყავს... მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, ვერანათ ქმნილა.
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დავინგრევიათ დიდი მამული, —
რაღა დაბადავს თქვენში დიდ გძნობას?
რითი ალტკინდეს ქველვისთვის გული?...“
პოეტი უვიკრდება „უცხოს კალთის ქვეშ“
შეფარებულს თლად საქართველოს და ყოველ-
გან მის არე-მარეზე ხედავს „უძლურებას“
და არარაობას, ნაცვლათ წარსულის ძლიერ-
ებისა. პოეტის „აჩრდილი“ გადაავლებს
შეწუხებულ თვალს თვის სამოთხე საქარ-
თველოს, მის შვენეირ ტყე და ველს, მთა და
ბარს, მწუხარე თერგს და... არაგვსაც...
არაგვს იგი ეკითხება:

„...რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს...
შენ წინ დალუბულ ჩემ ძველსა მამულს, —
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დალა-
ლულს აძლევდა ხოლმე გულ-საკლავ პასუხს...“

მტხეთაც, პოეტის თქმით, „სავანე გმირ-
თა“ მთელ ისტორიას აგონებს მას. მარა
დღეს „დედა-ქალაქი ვრცელი, აწ სამიკიტ-
ნო დაბათ გამხდარა“

„...წამხდარა ყველა, ის ღონე და ის
ძლიერება,

მტვრათ გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება!..
აწ იგი თითქო თვის დენაში შეყენებულია,

*) ილია ყოველგან, თვის ლექსებში, საქართვე-
ლოს მამულს ეძახის და არა სამშობლოს.

ავტ.

ხოლო ოდესღაც მოდენილა თვის ფართო
გზაზე.

ბევრჯელ უსაგნოთ, ბევრჯელ აზრით
აღელვებულა,

ქართვის ტუკილი ყოველთვის-კი სჩნე-
ვია მასზე,

დენილა იგი ტანჯვით შორის დასიამეთა,
ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა,
ხან შური, მტრობა, ერთურთ ლაღვა
თხრიდა კიდეთა,

რომელთ შორისაც ის ცხოვრება მძლავ-
რი შობილა.

მაშინ გათხრილნი ის კიდენი თლად
დარღვეულან,

ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქა-
ფებულნი,

სხვა-და-სხვა ტოტათ გადმოსულან, გადა-
გდებულან,

დაუნთქავთ შრომა, წინაპართა სისხლი-
თა რწყულნი.

როდის-ღა ვნახავ შენეირსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავ-
ცა აღმდგარსა,

დროსთან დათქმულსა სხვა-და-სხვათა
კავშირთა ბძოლას,

ერთის ცხოვრების, ერთის ხელის ძლიერ-
სა ქროლას?

როს ეს ტოტები ერთ-ცხოვრების, ერთ-
არსებისა,

ახლა გაყრინი ერთ მდინარეთ შეერთდებიან?*)

*) რომ ილია დასტირის „ჩვენს ერთობას დაქარ-
გულს და მამულს აოხრებულს“ ეს ყველამ იმის ჩვენ-
ში. სხვას რო თავი გაუანებოთ, შემიძლია მკითხველს
მოვაგონო ჩენი მუშა-მწიგნობარი, ზაქარია ტიქინაძე,
რომელმაც აშ ოცი წლის წინათ დასტამბა წიგნაკი ამ
სათურით: „ილია ჭავჭავაძე, როგორც ერთობის მლა-
ღდებელი.“ მაშასადამე, ბატ. პ. გელეიშვილს ორიგო-
ნალობაც არ გამოუჩენია, როცა ყოველ ფეხის გადად-
გმაზე იძახის, რომ „ერთობას, კლასთა სოლიდარობას“
ქადაგებო...

ამ აზრის დასამტკიცებლათ, ბატ. პ. გელეიშვილს
პოემა „აჩრდილიდან“ მოაქვს სიტატები, რომელსაც
მე აქ არ მოვიტან, მხოლოდ თ ადგილის ეკანომიის გუ-
ლისთვის, მარა, სადაც სრულებით ერთი სიტყვაც არ

როს იგი ტომნი, ცათ მიხწეულ მძლავრ
კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდ-
დებიან?

თავისუფლების შენეირის სხივთ მხურვალემა,
როდის დადნობს დაჟანგებულს დიდხნის
ბორკილსა,

და ქართველობა სიქადულათ როდის ექმნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთ-
გულსა, შეილსა?...“

თუმცა პოემაში „აჩრდილი“ რითმა
ყოველგან დაცულია, დიდათ დამაფიქრე-
ელი აზრებაც არი გატარებული, მარა
წელი საკითხავია, მძიმე ლექსებით არა
იგი დაწრილი. პოემას ეტყობა სურათების,
მხატვრობის მაგიერ, რიტორობა, მაღალ-
კლოიანიობა და, ამიტომაც, სიცოცხლეს მოკლე-
არი „წოდებათა და კლასთა სოლიდარობაზე“ ნათქვა-
მი.

საქმე ის არი, რომ საქართველო წინათაც, მონ-
ღოლების შემოსევის დროიდან, დანაწილებულიყო სამ
სამეფოთ და ხუთ სამთავროთ. ეს დანაწილებული ქა-
რთველთა სამეფონი და სამთავროები ერთი ერთმანეთს
უფრო მტრობდენ, წეწდენ, ვიდრე მოყვრობდენ და
ძმობდენ...

გარდა ამისა, ახლანდელი საქართველოც, რომ-
ც არც პოლონეთი და სომხეთია სამათ გაგლეჯილი,
ისეა დაგლეჯილი და დანაწილებული სამ სახელმწიფოს
— რუსეთისა, ოსმალეთისა და სპარსეთის (ფერეიდანე-
ლები) შორის. როგორც უღიადესი მამულიშვილი მო-
ქალაქე პოლონეთისა-ადამ ბერნარ მიცკევიჩი, სომხე-
თის გულდამწვარი, დიდი მამულიშვილი გამარ-ქათბია,
სწორეთ ისე ილია ქვეკვაძეც მწარეთ მოთქვამს:

„როს ეს ტატები ერთ ცხოვრების, ერთარსების-
სა, ახლა გაყრილნი ერთ მდინარეთ შეერთდებიან?

აი, ილიას სწორეთ ქართველების ეს დიდი უბე-
დურობა აქვს ვათვლისწინებული და ამას დასტორის
იგი სისხლის ცრემლებით... ამიტომაც, ილიამ „სრა-
სმის სუფევის“ პრინციპი ეროვნული პოლიტიკის დიად
საპირობებს დაუკავშირა და შეუერთა. და, როცა და-
ინახა, რომ იმისი მშობელიერი დღეს საკუთარს სახო-
გადო-სახელმწიფოებრივს ერთ ცოცხალ პოლიტიკურ
ორგანიზმს აღარ წარმოადგენს, სასწორი ამ ეროვნუ-
ლი პოლიტიკისკენ გადახარა (იხ. ჟურნალი „ივერია“,
1882 წ.) და წმინდა ნაციონალ-ლიბერალური პრინ-
ციპი აღიარა.

ავტ.

ბულია, არ არი მაღალ პოეტური. ისე-კი მამულის
სიყვარული პოეტს ძლიერათ აქვს გამოთქმული
და ამ მამულის სიყვარულს ილია ქვეკვაძე მიაწვა
მთელი თვისი ნიჭით და ენერგიით. ამიტომ
იმის პოეზიას ეტყობა ცალმხრივობა, პოე-
ტურ საგანთა მრავალგვარობას მოკლებუ-
ლია...

ილია ქვეკვაძემ თითქოს წინ და წინვე,
იმ თავითვე განსაზღვრა საგანი თვისი პოე-
ზიისა და საზოგადო მოღვაწეობისაც მან ვიწ-
როთ შემოსაზღვრა პოეზიის ფარგლები და
ამ მის მიერ შემოსაზღვრულ საგნებს მტკი-
ცეთ დააქდო თვისი ბეჭედი. აიღეთ ილია
ქვეკვაძე პოეტი, ბანკარი, პუბლიცისტი.
იმისი ძლიერი სახე გამორკვეული იყო...
წინათვე იკვდიეთ, რა საგანს, როგორ შეხვ-
დებოდა, რა გზას დაადგებოდა იგი და, რი-
სი წარმოდგენელიც იყო. აი, აქ მარხია
სწორეთ, თუ გნებავთ, ძაღლის თავი: ილია
ქვეკვაძის ნიჭის ძალაცა და ამ ნიჭის ერთ-
გვარობაც, ერთ ერთი აჩემებულ საგანთა და
აზრთა თავ-გამეტებული სამსახური—დამუ-
ლის სიყვარული.

სხვა საგანი არ არის ილია ქვეკვაძის
პოეზიისა. ილია ქვეკვაძეს, როგორც პოეტს,
აკლია წარმოდგენის და ფანტაზიის ძლიერე-
ბა, შედარებით, ალექსანდრე ქვეკვაძესა,
გრ. ორბელიანისა, ნ. ბარათაშვილისა და
აკაკისთან. იქ, სადაც აღნიშნული მგო-
სანნი ერთი კალმის გაქნევით საოცარ
სურათს ჩამოსახმენ, ილია ქვეკვაძემ, შედა-
რებით, სამჯერ და ოთხჯერაც უნდა გაიქნი-
ოს კალმის წვერი, რომ შესაფერი პოეტური
სურათი სახე დახატოს. ილია გარეგან ბუნების
და ყოველ დღიურ ცხოვრების წვერილმან
ამბავთა დასურათება—დახატვაში აკაკის ღი-
დათ ჩამორჩება უკან. მარა, მაგიერათ, ილია,
ნ. ბარათაშვილივით, საკმაოთ ძლიერია მა-
შინ, როდესაც შეგებმა ადამიანის სულიერს
არსებას, შინაგან, სუბიექტურ ქვეყანას.

ხომლელი.

(შემდეგი იქნება).

ქართული პრესა.

1 ოკტომბერს, ქუთაისში, სტამბიდან გამოვიდა ყოველდღიური საპოლიტიკო და სასალიტერატურო გაზეთი „მეგობარი“, რომელსაც მოუთმენლათ მოელოდა ჩვენი საზოგადოების და ინტელიგენციის ერთი ნაწილი და მოზარდი მოსწავლე ახალგაზღვრებაც ახალ გაზეთს აშვენებს მომენტის შესაფერი წერილები.

მარა, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, ყველაზე უფრო გვისამოვნა მსკოვანი პუბლიცისტის, ბატ. გ. მაიაშვილის გამოსვლამ სალიტერატურო ასპარეზზე.

გაზეთი „მეგობრის“ მეთაურში ბატ. გ. მაიაშვილი ახასიათებს დღეინდელ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების მომენტს.

ავტორი წერს, რომ რუსეთში პოლიტიკური ბძოლა წარმოებს ორ კლასთა შორის. ერთ მხარეზე თავდაზნაურობაა, მეორეზე ბურჟუაზია. პირველია დღეინდელ რეჟიმის დამცველი, მეორე-განახლების გულწრფელი მომხრე.

მარა ორივე ბატონობას და უპირატესობას ეძებს ცხოვრებაში... მხოლოდ მშრომელი დემოკრატია ორივეს ებძვის, ბატონობის და პრივილეგიების, უპირატესობის მტერია და იბძვის თანასწორობის დიდი იდეის გასახორციელებლათ ..

„რა პოზიცია უნდა დაიკიროს ამ ბძოლაში დემოკრატია, ხალხის სურვილების გამოხატველმა? კითხულობს პატივცემული ავტორი.

ჩვენ ვიცით, რომ ბუნებრივად ბურჟუაზია და ბურჟუაზული წესწყობილება არარის მეგობრულ განწყობილებაში ხალხთან; ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზია და პროლეტარიატი ევროპაში წარმოადგენენ ორ ახტიპოდს და მათ შორის განუწყვეტელი ბძოლა წარმოებს; აგრეთვე ვიცით, რომ რუსეთშიც ბურჟუაზია და მშრომელი ხალხი არსებითად სულ სხვადასხვა სოციალურ ძალებს წარმოადგენენ და შემდგომში სასტიკი ბძოლაც მოუხდება ერთმანეთში, როგორც დასავლეთ ევროპაში, არა მარტო ეკონომიურ ნიადაგზე, სადაც ისინი ახლაც ერთმანეთს ებძვიან, არამედ პოლიტიკურ სფეროშიც.

მიუხედავად ამისა, ახლანდელი მომენტი და დემოკრატიის საკუთარი ინტერესი აგრეთვე მოითხოვს ამ უკანასკნელისგან დღეინდელ ბძოლაში ზურგი გაუმაგროს ბურჟუაზიას, უმეტესი ნაწილი იმ ელემენტარუ-

ლი პოლიტიკური მოთხოვნებისა, რომელიც შეადგენს რუსეთის ბურჟუაზიის პლატფორმას დღეინდელ პირობებში, დემოკრატიისთვისაც შეადგენს უპირველეს საჭიროებას. ეს საერთო გზა, ეს საჭიროება უნდა აერთებდეს მოქმედებასაც—ამას მოითხოვს საღი ტაქტიკა. ბურჟუაზიის და დემოკრატიის მოქმედება უნდა იყოს შეთანხმებული, ხოლო შეთანხმება კავშირის, ბლოკის, არ ნიშნავს. თუ ერთი გზა გვაქვს დროებით საველი, ჩვენ უსათუოდ ერთი მატარებელი წავალთ. მარა შეგვიძლია სხვადა-სხვა ვაგონში ვიჯდეთ, თქვენ ჩამხტებით, მაგალითად, როსტოვს, ვინაიდან როსტოვი შეადგენს მიზანს თქვენი მოგზაურობისას, მეკი როსტოვს გავსილდები, რადგანაც მოსკოვს გიანლებით.

თუ ეს ტაქტიკური მოსახრება, საზოგადოთ, მართალია, შემსდარი უნდა ბძანდებოდნენ ის დემოკრატიის პუბლიცისტები, რომელნიც დასინვით, ირონიის თვლით უყურებენ რუსეთში შემდგარ „პროგრესიულ ბლოკის“ მოქმედებას და თითქმის სისარულით შეხედენ „ბლოკს დროებით შეფერხებას...“ შემსდარი ბძანდებიან იმნაირათვე, როგორც შემსდარი ბძანდებიან ის პუბლიცისტები, ვითომ და ნაპიონალური მიმართულების წარმომადგენელნი, რომელნიც ყოველის შემთხვევით სარგებლობენ, რომ ვილაცა დაარწმუნონ—ქართველი ხალხი იმდენათ რაინდულია, ე. ი., პოლიტიკურათ განუვითარებელი; რომ დღეინდელ პირობებში ის არაფერს არ თხოულობს თვისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ამნაირი შეუფერებელი აზრის გამოთქმელები, ან თვით უნდა იყვენ პოლიტიკურათ ბავშური იდეოლოგიის პატრონები, ან და რუსეთის საზოგადოება განიათ იმდენათ გულუბრყვილო, რომ დაიჯეროს ამნაირი პოლიტიკური ზღაპარი და ისიც ასე უგემურათ შეთხული. ვინც ამნაირი უხერხული ფანდებით სხვის „მოტყუებას“ ფიქრობს, ის, ეჭვს გარეშე, თვით მოტყუდება, რადგანაც გასაჯალი არ ექნება არც რუსეთში, არც ჩვენში,—რუსეთში იმიტომ, რომ ვერც ერთი პოლიტიკურათ გაკითარებული კაცი ვერ დაიჯერებს მაგნაირ ბალღურ აზრს, და ჩვენში—კი იმიტომ, რომ ამნაირი ანტისოციალური მიმართულება სრულიათ არ შეუფერება ჩვენ პოლიტიკურ მდგომარეობას.

გრავ ვარანცოვ-დაშკოვის მოღვაწეობა საქართველოში

გაზეთ „მეგობარში“ პუბლიცისტი ბატ. იმ. ამ.—ლი ასე ახასიათებს გრავ ვარანცოვ-დაშკოვის მოღვაწეობის ხანას საქართველოში: გრავ ვარანცოვ-დაშკოვის პოლიტიკა ოდნავაც არ გასხვავდებოდა არსებითად რუსეთის

ჩვეულებრივ ბიუროკრატიული პოლიტიკისგან განაპირა ქვეყნებში, მხოლოდ გრაფი უფრო ლმობიერათ აწარმოებდა ამგვარ პოლიტიკას.

ამ პოლიტიკის თვისება-კი ის არი, რომ ამა, თუ იმ პროვინციაში დასახლებულ ერთა შორის ერთს აიჩემებს, მას დაუწყებს ვითომ და ავანსების მიცემას, რომ სხვას გული დაუჩაგროს, გული აუმღვრიოს და შეახარბოს ვითომ და „რჩეულის“ ბედი და, ამგვარათ, ორი მეზობელი ერი ერთმანეთს გადაკიდოს. ამ პოლიტიკის აღსასრულებლათ და გასახორციელებლათ გრაფმა ფორონცოვ-დაშკოვმა სომხები აირჩია.

ცხადია, რუსეთის ბიუროკრატის ჩვეულებრივი პოლიტიკის წარმომადგენელი, თუ აჩემებულ ერს კეთილს არას მიანიჭებდა და ბევრსაც აზარალებდა, არც სომხებს მიანიჭებდა რაიმე თვალსაზირო ბედნიერებას, დიდ ხერს არ დააყრიდა. მარა წვრილმანებში მიკერძობა, სხვის გამოსაჯავრებლათ განსაკუთრებული ყურათღება, თუგინდ ეგ ყურათღება სალონს არ გადასცილებოდეს—სხვას აღიზიანებდა და სომხს ერის გარშემო-კი ქმნიდა ატმოსფერას სიძულვილისა და შურისას.

გრაფი იმ ხანებში ჩამოვიდა საქართველოში, როცა მთელ ქვეყანას რევოლიუციის ცეცხლი ქონდა მოკიდებული და აქ-კი პირველი როლი ქართველებსა ქონდა დაჭერილი. „გაზაფხულის“ ხანაში გრაფი, თითქო ქართველებს მეტ ყურათღებასაც-კი აქცევდა, ძალიანაც ეაშვიებოდა ქართველ ესდევებს და მათ მეთაურებთან ხშირათ ქონდა დიპლომატიური მოლაპარაკება და განწყობილება. სტაროსელსკის ქუთაისის გუბერნატორათ დანიშნა, სულთან ყირიმ-გირეის თავის თანაშემწეთ არჩევა— ყველა ეს ქართველთადმი ყურათღების მაჩვენებელი ფაქტები იყო. იმ დროს კავკასიის ცხოვრების კამერტონი ქართველებს ეკავათ და გრაფი, როგორც ყურმანხილი ბიუროკრატი პეტროგრაძის სფერებში აღზდილი, ამ კამერტონს უგდებდა ყურს.

მარა დადგა ხანა რეაქციის, ხანა შურისძიებისა და სწორეთ გრაფმა, როგორც

რუსეთის „ძველი რეჟიმის“ ღვიძლმა შვილმა, აქ გამოაჩინა თვისი ბჭყალები. თუ რევოლიუციის დროს ქართველები იყვენ ავანგარდში, რეაქციის ხანაშიც ამ ადგილს ივინი მოყვენ და მთელი ძალა რეპრესიისა ჩვენს ერს და აწვა თავზე... გაიხსენეთ ცნობილი ბძანება გრაფისა გენერალის ალიხანოვის ექსპედიციის გამო იმერეთის დასაწყნარებლათ, რომელშიც გრაფი ურჩევდა გენერალ ალიხანოვს:... და თქვენ ნახავთ, რომ გრაფი იმ დროს აწარმოებდა იმავე პოლიტიკას, რასაც აღმირალი დუბასოვი მოსკოვში და მეღერ-ზაკომელსკი ბალტიის მხარეში.

გრაფ ფორ—ვის ასეთმა სასტიკმა მოპყრობამ ქართველი ერისადმი ქართველ ზომიერ ელემენტთა შორისაც-კი გამოიწვია აშფოთება. იმ ხანებში ქართლ-კახეთის დეპუტატთა საკრებულოს სათავეში უდგა პროგრესიული ნაწილი ამ თ. აზნაურობისა და მათმა წარმომადგენელმა, თფილისის შარშალმა, თ. ლ. ჯამბაყურიან-ორბელიანმა ცხადივი პროტესტიც-კი გამოუცხადა და ახალ წელიწადს (1906 წ.) ჩვეულებრივთ სადარბაზოთ აღარ ეახლა მას, თუმცა ძველი კარგი ნაცნობობა და პირადი განწყობილებაც ქონდა გრაფთან. გრაფის სასახლეს ერთგვარი ბოიკოტი გამოუცხადა თფილისის ქართველი უმაღლესი საზოგადოების საუკეთესო ნაწილმაც, აქ ჩატყდა ხიდი გრაფისა და ქართველების შორის... გრაფმა დაინახა, რომ მის, იმდროინდელ რეაქციონურ, რეპრესიულ ზომებს ქართველ ერში არცერთი სერიოზული ჯგუფი არ ყავდა მხარის დამჭერი—პირიქით ქართველი ერის, მასის აშგვარი მოქცევა აშფოთებასაც იწვევდა ყოველის მხრით.

მაშინ გრაფმა სომხს ერის პლუტოკრატისკენ იქცია მხარი. სომხები ერი გრაფს დავალებულიც ყავდა—საეკლესიო მამულები დაუბრუნა, თვით სომხის ხალხი პოლიტიკურათ ძალზე ჩამორჩენილი ვახლავთ და სრულიათ თავდაჭერილი ბძანდებოდა საზოგადოებრივი ქარიშხლის დროს, სომხის ბურჟუაზია-კი არსებითად წინააღმდეგიც იყო მოძრაობისა. სწორეთ ამ წრეში გამონახა გრაფმა ის ზომიერი ელემენტები, რომელნიც დაიხლოვა. სწორეთ ამ დროში გაიჭედა კავშირი გრაფისა და სომხის ბურჟუაზიის შუა. თუ გრაფს

ბოიკოტი გამოუცხადეს, საქართველოს ბაგრატიონ-გრუზინსკებმა, ჯამბაკურიან-ორბელიანებმა და სხვებმა — გრაფმა, თავისი მხრით, თვისივე დარბაზის კარები გაუღო ფითოვეებს, ალიხანოვებს და სხვათა სომეხ ბურჟუაზიის წარმომადგენელთა და მათ დაუწყო ლაქუცი და მოფერება.

საქმემ სრულიათ ნორმალური ხასიათი მიიღო. მოხდა ის, რაც თვით ქართველმა არისტოკრატამ (საუკეთესო ნაწილი არ უნდა დავივიწყოთ) გამოიწვია. აქ სასაყვედურო აღარა ქონდა რა ქართველ უმაღლეს წრეებს, ხოლო ქართველი თ. აზნაურობა ყოველთვის ჩვეული იყო სასახლის კარზე პირველი „მოწვეულის“ როლის თამაშს და ვეღარ მოენდებოდა, რომ ეს პატივი მას აყარეს. ამ უმნიშვნელო ამბავმა გააბრაზა იგი და დაიბადა ღრმა უკმაყოფილება გრაფისადმი...

პირველ ხანებში ამ ფუქსავატ კინკლაობას საქმე არ ვესცილებია. მარა გრაფს თანდათან შეეპარა მოხუცებულობა. „სახელმწიფოებრივმა გონებამ“ რყევა დაიწყო, სასახლეში „ვიღაცას ხელი“ აწარმოებდა მთელ უმაღლეს ადმინისტრატიულ პოლიტიკას ქვეყნის და მრავალი უტაყობა ჩაიდენინა კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის წარმომადგენელს. ჯერ იყო და შეიქნა დევნა საზოგადო მოღვაწეებისა. პირველათ სწვდენ სოხუმის ქალაქის მოურავს, ნიკო თავდგირიძეს, რომელსაც თვით გრაფი კარგათ იცნობდა, როგორც ზომიერსა და თავდაპირველ საზოგადო მოღვაწეს. მარა საქმარისი იყო, რომ იგი ქართველი იყო, ხოლო დეკორუმის დასაცავათ რაღაც პროცესიც შეეთითხნეს მის წინააღმდეგ, რომელიც თ. ნიკო თავდგირიძის სრულის გამართლებით გათავდა. ხოლო, როგორც ჩვეულებრივათ, პროცესი გაქიანურდა და თავდგირიძეს ადგილი ჩამოართვეს — ე. ი., მიხანს მიადწიეს. აგრეთვე ბედი ეწია ბ. იაკობ ფანცხავას, რომელიც — რამდენიმე წელიწადი იყო ფოთისა და ქუთ. ქალაქის თავის მოადგილეთ და ექვიც არავეს აღძვრია მისი დამტკიცების დროს. უეცრათ და ყოვლის მიზეზის გარეშე, უკანასკნელ ხანში აღარც იგი დამტკიცეს.*)

*) ვისაც გრაფის „ლიბერალობა“ სწამს, ვურჩევთ იმას ეს ფაქტები გაიხსენოს და ამითაც დარწმუნდებამ, რომ თ. გოლიცინი და გრ. ვორონცოვი ერთი და იგივე ხელაპირი იყო, თუმც შეიძლება სხვადასხვა სახისა — სარჩული — კი რუსეთის ბიუროკრატული სული და ხორცი იყო.

მერე დაიწყო დევნა ქართული ეკლესიის მამა მთავრებისა. (ეპ. კირიონი და ეპ. ლეონიდი, არქიმანდრიტი ამბროსი და სხ.) მაშინდელი ქართლ-კახეთის ექსარხ. ინოკენტი, რომელიც გრაფის ოჯახის განსაკუთრებული ყურათღებით იყო დაჯილდოებული, გამწვავებული ებძოდა ქართულ ეკლესიას: მოსპო კათედრა ალავერდში, ამ საქართველოს გულში და ღრმით პატივცემული ეპისკოპოზი დავითი ვანაძევა სამშობლოდან და მრავალი ამგვარი ჩვენი ეკლესიის დამამკირებელი და ღმთ მახარალებელი საქმე ჩაიდინა

ამას აღარ დაჯერდა

მოინდომეს კავკასიის აქითა მხრის ადმინისტრატიულით გადაკეთება, იმგვარათ, რო საქართველოს ერთიანი სხეული იქითა აქით ჩამეფთალათ და შეექნათ ტერიტორია სამეფთათვის სრულიათ ნაძალადევთ კანკელარიებში გამოჭრილი და შექნილი. ჩვენ სრული თანაგრძობით ვეკიდებით სომხებისგან ტერიტორიალური ერთეულის მოპოებას, და ვესურს, ჩვენი ინტერესიც არის, მათ ექმნესთ სრული პოლიტიკურ ეროვნული იდეალი და ამ იდეალის გახორციელებისკენ იგინი მიილტოდენ. უეჭველია, ჩვენ მაშინ ერთმანეთს შევხვდებით საერთო გზაზე. მარა ასეთი დიდი აქტი უნდა, უეჭველათ, ხდებოდეს ჩვენი ერის ინტერესების გადულახველათ, ჩვენისა და სომხების შეთანხმებით და არა ნაძალადევთ, კანკელიარისი კირკულიარებით, რომელნიც არადროს ცხოვრებას ანგარიშს არ უწევენ.

თანაც გრაფი არ სტოვებდა შემთხვევას... და რუსეთის მთავრობას ამიერ კავკასიაში თავის პოლიტიკა შეუძლია დაამყაროს მარტო სომხებზე, რათგან მათა ყვეთ ძლიერი ზომიერი ელემენტებო და სხვადასხვა ქათიანურებით უმასპინძლდებოდა სომხებს.

„სახელმწიფოებრივი გონების“ რყევა მეტისმეტ გამწვავებამი მივიდა, როცა თფილისში პოლიტენიკუმის ადგილის შესახებ შეიქნა კინკლაობა და, როცა კომისიის უმრავლესობის წინააღმდეგ გრაფმა სომხის პლუტოკრატის ჩურჩულის ზეგავლენის ქვეშ თვისი არისტოკრატული ზდილობაც კი დაივიწყა და ოფიციალურ ქალაქში ქართველებს პოლემიკა გაუმართა: დამწვევლეთ და დამქოლეთ, რამდენიც გნებავთ, მე-კი პოლიტენიკუმის ადგილათ ნავთლული ამომირჩევიაო. ყოველივე ეს კიდევ წვრილმანი იყო. წვრილმანი თავმოყვა-

რომის შეურაცყოფა შეეძლო მხოლოდ არსებითი ზარალი არ შეეძლო მოეტანა ამგვარ საქციელს ერისთვის.

მთელ ცის ქვეშეთს ცეცხლი მოედვა. საქართველოს საზღვრებიც ზარბაზნის გრილის ასპარეზით გახდა. ქართველი ერის სისხლი მამაკურათ იღვრებოდა ბძოლის ველზე და სახელმწიფოს დაცვას ეწირებოდა ფასდაუდებელი სხევრპლი.

...ქართველ ხალხს გრაფი-კი ჯილდოთ „აქართველთა გაუბედურებას“ უმზადებდა.

გრაფი შეიქნა იმ ვაჟბატონების ხელში, რომელთაცვერ მოუწილებიათ საქართველოს ტერიტორიის მთლიანობა და სურთ ამ მთლიანობის კედლები ღრმით შეამგვრიონ. მიზანში მათ აქარა ამოიღეს და, კაცმა რო თქვას, ბოროტგანზრახვა დიდათ სატანური იყო... და არც დაუკლიათ არაფერი მის ასასრულებლათ.

ჩვენ ხელთა გვაქვს საბუთები, რომელთა გამოკვეყნება ჯერ ჯერობით მოუხერხებელია. მარა რომელნიც ნათელსა ფენენ აქარის ამბავს, და ის-კი, რაც ყველასთვის ცხადია, ძლივან ცუდს აზრებს გვიძრავს და გვაფიქრებებს, რო გრაფი... ისიც საკმარისია, თუ გავიხსენებთ, რო დარბეულ და აწიოკებულ აქარისთვის ან სრულიათ არას იმეტებდენ ომისგან დაზარალებულთათვის გადადებული თანხიდან და ან, თუ იმეტებდენ, იმდენათ კომიკურ მცირე ჯამს, რომ ამას ისა ჯობდა, სულ არა მეცათ რა და სწორეთ ამ საგნის გამოც-კი შეტაკება მოუვიდა არა ერთხელ საქართველოს ეგზარხორსს პიტირიმს და ქართლ-კახეთის თ. აზნაურობის წარმომადგენელ თ. აბხაზს—გრაფის მეუღლესთან.

ამ პოლიტიკას გადაყვა გრაფის მოღვაწეობაც და, უეჭველია, მისი სამსახურის დათხოვნის დროს ამას დიდი ანგარიში გაუწიეს.

„გეფხის ტყაოსანი“ რუსულათ.

ქართულ პრესაში დიდი აღტაცება და სიხარული გამოიწვია კონსტანტინე ბალმონტის მიერ „გეფხის ტყაოსნის“ რუსულათ გადათარგმნამ.

„სახალხო ფურცელი“ წერს:

რუსთველის საღამომ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში. ეს არ იყო გასაკვირალი. ცნობილი რუსი მგოსნის—ბალმონტის სახელი თავმდები იყო იმისა, რომ ეს საღამო წმინდა ხელოვნების დღესასწაულათ იქცეოდა. მოლოდინი გამართლდა. „გეფხის ტყაოსნის“ თარგმანის მოსმენამ, მართლაც, რამდენიმე ძლიერი, დაუვიწყარი წუთი განგვატოვინა.

ვინც რუსთველის პოემას ცოტათი მიიციცნობს, კარგათ ეცოდინება, რა ძნელია მისი თარგმნა. ის ებოქა ჩვენი ისტორიული წარსულისა, რომელსაც ეს დიდი ნაწარმოები ეკუთვნის, ჯერ კიდევ არ არის საესებით შესწავლილი. კარგათ არ ვიცნობთ იმ კულტურულ ნიადაგს, რომელზედაც ეს უცხო ყვაილი აღმოცენებულა. ამას გარდა, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა პოემის სატექსტო კრიტიკა და არ ვიცით, როგორი იყო მისი პირვანდელი სახე.

ყველა ამას ზედ ერთვის ის გარემოება, რო „გეფხის ტყაოსანი“ მეტის მეტათ მდიდარია მხატვრული სახეებით და თითოული სახე თავისებური და მოულოდნელია. თარგმანში ძალაუნებურათ ცივდება მისი ცხოველი ფერადები. სტილსაც ძალა და ენერგია ეკარგება. განა შესაძლებელია უცხო ენაზე იმ ზნეობრივი და ფილოსოფიური სენტენციების გადმოცემა, რომელშიც ასე სხარტათ და ძლოვანათ იხატება შოთა რუსთველის სიბძენე? როგორ გადმოსცემთ რუსულათ: „საბრალოა სიყვარული კაცსა შეიქმს გულმოკლულათ“. ან „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს, თუნდა ხვადია“? ან თუნდ სენტენციებს, რო თავი დავანებოთ, როგორ თარგმნით უბრალო გამოთქმას: „მეფემ ბძანა“ ან „მოახსენეს“?

ყველა ეს სიძნელე კარგათ ქონია გათვალისწინებული ბალმონტს. თარგმანის კითხვას მან წარუმიძღვანა რამდენიმე გონება მახვილი შენიშვნა ქართული ენის ბუნების შესახებ. სამართლიანათ აღნიშნა, რომ ამ

ენის ხასიათი ენებას, უშუალობას, ტემპერამენტის სიძლიერეს მოწმობს. ამიტომ, რასაკვირველია, ის უფრო შეეფერება პოემის დრამატიულ სიტუაციებს, ვიდრე ნაზი და რბილი რუსული ენა, რომელიც თითქო ლირიკულ განცდათა გადმოსაცემათ არის გაჩენილი.

გვეონია, რო ბალმონტის თარგმანში

ოდნავ მოკარბებული უნდა იყოს ლირიზმი. გადაჭრით ამის მტკიცება, რასაკვირველია, არ შეგვიძლია, მიტოვო, რო რუსული ტექსტი ჯერ არ დაბეჭდილა, პირველი მკრთალი ჩაბეჭდილების მიხედვით, რაიმეს მტკიცება-კი დიდი გამბედაობა იქნებოდა. მით უმეტეს, რო თარგმანი ავტორმა დიდ ზალაში წაიკითხა, სადაც ბევრი დეტალი



სრულიათ იკარგება მსმენლისთვის. გადაჭრით შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რო ბალმონტი დიდი სიყვარულით და ყურადღებით მოპყრობია ჩვენს ეროვნულ პოემას და ცდილა კეთილსინდისიერად გამოეცა მისი სტილი და შინაარსი. საღამოზე მან შესავალი და სამიოდ თავი წაიკითხა; ლექსი ყურს ესალმუნება: ის არაჩვეულებრივად კეთილზმოევანია. საცლალთა მხოლოდთ, რო თარგმანში შეუფერებელი სუ-

რათი შეპარულა. ავთანდილის და თინათინის ქორწილში, თარგმანის მიხედვით, შეფეებს „საღდათებმა (!) პურმარლი მიაართეეს“. შოთა რუსთველს ასეთი არ აქვს და არც შეიძლება ქონდეს: ჩვენმა ძველებმა პურმარლის მირთმევა არ იცოდნეს ადგილი, თუ არა ვცდებით, ორიგინალში შემდეგ ლექსს უნდა შეეფერებოდეს: „დაიწყეს შორთმა პურისა ლაშქართა მის შესავსისა, ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი ხავსისა“.

შესაძლებელია, ასეთი პატარა შეუსაბამობა სხვაც ქონდეს რუსულ თარგმანს. მარა, რასაკვირველია, ეს ვერ დაჩრდილავს მის ღირსებებს. ბალმონტს რუსეთში წინაკაცი არ ყოლია ამ დიდ საქმეში; „ვეფხისტყაოსანს“ ის ვაცნობია შემთხვევით, შორეულ ოკეანეში მოგზაურობის დროს. მისტერ უორდროპს მისთვის გადაუცია პოემის ინგლისური თარგმანი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ დაამთავრა განსვენებულმა მარჯორი უორდროპმა. ამგვარათ, თუ მეოცე საუკუნეში ჩვენი ჩრდილოელი მეზობლებიც გაეცნენ შოთა რუსთველის უკვდავ ნაწარმოებს, ამაში წილი ჩვენს ინგლისელ მეგობრებსაც მიუძღვით.

—,თანამ. აზრი“ წერს: შაბათს—შ. ოკტომბერს „არტიკული საზოგადოების“ საკონცერტო დარბაზში ცნობილმა რუსის პოეტმა, ბალმონტმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას თვისი თარგმანი „ვეფხისტყაოსანი“ (ზოგიერთი ნაწყვეტები).

თარგმანის პოეტური ღირსების შესახებ, შეიძლება, ადგილი ქონდეს სხვადასხვა შეხედულებას და ეს, მართლაც, ასე იყო: თუ ბალმონტის ზოგიერთ მსმენელთა აფრთოვანების ტემპერატურა აღიოდა 40 გრადუსამდე, იყვენ დამსწრეთა შორის ისეთებიც, რომელთა აფრთოვანება გასაზღვრულ ფარგლებში თავსდებოდა...

ყოველი ნაწარმოების (ორიგინალური იქნება იგი, თუ თარგმანი) დაფასებაში, აუცილებლათ, შედის ის ელემენტიც, რომელსაც პირადი, სუბიექტიური გემოვნება ქვია. ამიტომ სრულიათ კონონიერი და გასაგებია სხვადასხვა შეხედულება თარგმანის ღირსების შესახებ.

მარა არის მეორე მხარე ბ. ბალმონტის შრომისა, რომლის შესახებ შეუძლებელია ადგილი ქონდეს სხვადასხვა აზრს. საქმე ის არი, რომ ბ. ბალმონტს, გარდა დიდი შრომისა, გამოუჩენია გულწრფელი სიყვარული თვისი საქმისადმი. ყველაფრიდან ჩანს, რომ რუსის პოეტს უთარგმნია „ვეფ-

ხის ტყაოსნი“ არა მარტო რუს მკითხველთა ცნობისმოყვარობის დასაკმაყოფილებლათ. არა. ბელმონტი—ასე ვთქვათ—გძნობს რუსთველს, ესმის და უყვარს იგი. გძნობს შეიძლება უკეთ, ვიდრე ბევრი ჩვენგანი (ქართველები). რუსთველის ქნარის თქმის ყოველი სიმი გამოძახილს იწვევს ბალმონტის ქნარში და, თუ გამოძახილი უფრო სუსტია, ვიდრე თვით ხმა, ნუ დავავიწყდებთ, რომ ხმა ერთობ ძლიერია.

ბალმონტი გძნობს, რომ ის დიდებული ქართველი მე-12 საუკუნისა, რომელიც წერდა თავის თავზე:

„ვეწერ ვინმე მესხი მელექსე

მე რუსთველისა დაზისა“

„შვენებს იმ საერთაშორისო პანთონს ოლიმპის წვერზე, სადაც აღიან ყველა ერთა პოეტები...სალოცავათ. ბალმონტის აფრთოვანება რუსთველის წინაშე ეს ის აფრთოვანებაა, რომელიც პუშკინი ასე აგვიწერს:

Съ Гомеромъ долго ты бесѣд-
валъ одинъ,

Тебя мы долго ожидали:

И свѣтель ты сошелъ съ тайн-
ственныхъ вершинъ

И вынесъ намъ свои скрижали“.

ვიმერებთ: ექვს გარეშეა დიდი სიყვარული ნაკისრი საქმისა და დიდი შრომა, რომელიც გაუწვევია ბალმონტს. აი, რატო მთელმა ქართველმა საზოგადოებამ ოვაცია გაუმართა ბალმონტს და არავის არ შეუძლია, რასაკვირველია, თქვას, რომ იგი არ იყო ამის ღირსი...

ეს ისეთი პირობებია, რომლებიც ხელს არ უწყობს მიუდგომელ კრიტიკას ობიექტურ დაფასებაში, ზოგ შემთხვევაში იარაღსაც აცლის: არ გინდა სუსტ მხარეებს მიაკციო ყურათღება, საკმარისათ მიგაჩნია მართო ღირსებათა აღნიშვნა. სიმართლის თქმა ჯობს, ჩვენ განვიცადეთ ამ პირობების გავლენა. არ მიგვაჩნია დღეს შესაძლებლათ და საკიროთაც ბ. ბალმონტის თარგმანის გარშემო გაჩაღება იმისი, რასაც ზო-

გიერთი ქვერმეტყველი მწერლები „კრიტიკის ქარცეცხლს“ უწოდებენ. ამისთვის უფრო შესაფერი და ხელსაყრელი დრო მაშინ იქნება, როდესაც ბალმონტი დამთავრებს თავის შრომას და „ვეფხის ტყაოსნის“ მთელ თარგმანს მოგვცემს.

ძალიან დიდი და ძნელი საქმეა ეს, რა თქმა უნდა. მიუხედავად ამისა, ბალმონტს ეს, როგორც ჩანს, არ აშინებს. ის ნაწყვეტები, რომლებიც წაგვიკითხა, გვაძლევენ საბუთს ვიფიქროთ, რომ მისი თარგმანი იქნება გაცილებით უკეთესი, ვიდრე არსებული...

ყველა ნაწყვეტები არ არის, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე ლირსების. ჩვენ ყველაზე უფრო მოგვეწონა თარგმანი ცნობილი ტაეპის:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე,
ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა
ყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირათ ესხა მარგალიტი
ლაგამ-აბჯარ უნაგრისა,
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა,
გულსა მდულარ ანატირსა“ და სხ.

ამ ტაეპისთვის ბალიონტს მოუნახავს შესაფერი პოეტური ენა. უფრო მირთალია თარგმანი მეორე ცნობილი ტაეპის, რომელიც იწყება: „იყო არაბეთს როსტევიან...“

თარგმანის ტექნიკის შესახებ მთარგმნელს არაფერი უთქვამს. მარა ცხადია, რომ მისი თარგმანი არ არის უშუალო, ესე იგი, თარგმანი არ არის პირდაპირ ორიგინალიდან. ცხადია, რომ ბალმონტს თარგმანის დროს ედვა წინ ორიგინალი, მარა ამასთან ერთად სხვების (რუსული, ინგლისური და სხ.) თარგმანიც, და ჩვენ ვშიშობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევებში, მთარგმნელის პოეტურ აღმაფრენის წყარო უფრო მკრთალი უცხო თარგმანი იყო, ვიდრე უკვდავი ორიგინალი. ექვს ვარეშეა ისიც, რომ ბალმონტს დახმარებას უწევდნენ, როდესაც მას უხდებოდა ქართული ორიგინალით სარგებლობა. ეს ვმჩნევა თარგმანს: თარგმანი ლამაზია, მარა ზოგჯერ მეტათ თავისუფალი, ესე იგი,

ორიგინალის და თარგმანის შორის არსებობს ერთგვარი განსხვავება. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ზოგიერთი ადგილები მთარგმნელს არ დაუნახავს საჭიროთ გადათარგმნა, სამაგიეროთ, ეს აუნახლავს საკუთარი ლექსებით, უეჭველია, ლამაზით, მარა ისეთებით, რომლებიც... რუსთველს არ აქვს.

ვიმეორებთ: ზოგი ადგილები „ვეფხის ტყაოსნისა“ ბალმონტს შეენიერათ აქვს გადათარგმნილი (მაგალითად, ტაეპი: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ და აგრეთვე სხვებიც), მარა მის თარგმანში ხშირათ შეხედებით ნეოლოგიზმებს და თავისუფალ მეტაფორებს, რომლებიც ასე უყვართ დეკადენტებს. შეიძლება ეს ზოგს მოწონდეს. ჩვენ-კი ვფიქრობთ, რომ ამას ერთგვარი დისონანსი შეაქვს პოემაში, რომელიც დაწერილია მე-12 საუკუნეში. ძნელია, რა თქმა უნდა, ძველი ქართული სტილის დაცვა რუსულ თარგმანში. მარა, გვგონია, ყველა დაგვეთანხმება, რომ რუსთველის ლექსების გადათარგმნა ისეთი სიტყვების საშვლებით, რომლებიც შექნა მე-20 საუკუნის გართულებულმა სინამდვილემ, არ არის შესაფერისი.

პოეტური ენა ბალმონტის მეტათ მდიდარია, მისი მეტაფორები და ეპიტეტები, გაცილებით უფრო მრავალმხრივია, შეიძლება, ვიდრე რუსთველის მხატვრული ენა. მარა საკითხავია: რომელი მოახთენს მეტესტეთიურ ეფექტს?

აი, ის მცირე შენიშვნები, რომლებიც, მიუხედავად ზეით გამოთქმულ მოსაზრებებისა, საჭიროთ დავინახეთ გამოგვეთქვა ბ. ბალმონტის თარგმანის შესახებ.

საერთოდ — ვიტყვიო კიდევ — ის ნაწყვეტები, რომლებიც წაგვიკითხა ბალმონტმა, სრულ იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მისი თარგმანი ჩინებული იქნება (შედარებით, რა თქმა უნდა), მით უმეტეს, რომ, რაც დრო გავა, იგი, ალბათ, უფრო და უფრო შეითვისებს რუსთველის პოეზიის სულს.

საინტერესოა იყო წინასიტყვაობა ბალმონტის. შეიძლება, ცალმხრივი იყოს შეხედულება პოეტის, თითქოს ენის სტრუქტურ-

რა და „მუზიკა“ დამოკიდებული იყოს გეოგრაფული პირობებიდან. ყოველ შემთხვევაში, ეს აზრი მეტათ საყურათღებოა.

შეადარეთ ქართული ენა რუსულს, ამბობს ბალმონტი. ქართული ენა მოწმობს, რომ ის ხალხი, რომელიც ამ ენაზე ლაპარაკობს, ცხოვრობდა მთებში და მთელი თვისი ისტორიული ცხოვრება გაატარა ბუნებასთან და მტრებთან ბძოლაში. ქართულენაში ისმის მრისხანების და ბძოლის ჰანგები. ამას ხელს უწყობს თანხმოვანი ასოების ერთად მოგროვება. რუსულ ენაში, პირიქით, ქარბობენ ხმოვანი ასოები. საყურათღებოა, ამბობს ბალმონტი, რომ მაშინც-კი, როდესაც ქართველი თავის უნაზეს გძნობებს გაზოთქვამს, მის ენაში ისმის მრისხანების კილო. მაგალითად: „**შიყვარხარ, საყვარელი!**“ თიქქოს განრისხებული იმუქრებოდეს... იგივე გძნობას რუსი გამოთქვამს ნაზი და რბილი ასოების კომბინაციის საშველებით: „**ПОДРО МЛЮЮ!**“

ვიმეორებთ: შეიძლება ყოველივე ამას აკლდეს მეცნიერული დასაბუთება, მარა, როგორც პარადოქსიც, იგი საინტერესოა და სასარგებლო, რათგანც სამუშაოს აძლევს გონებას.

თავის წინასიტყვაობაში ბალმონტმა აღნიშნა აგრეთვე რუსთველის საერთაშორისო მნიშვნელობა და გამოთქვა ის აფრთხილების გძნობა, რომელიც გამოუწვევია მასში დიდ ქართველ პოეტის უკვდავ პოემის გაცნობას.

„**არტისტული საზოგადოების**“ საკონცერტო დარბაზს იშვიათათ უნახავს, ალბათ, იმდენი ხალხი, რაც იქ მოგროვდა ბალმონტის მოსასმენათ. საზოგადოებამ დააჯილდოვა ნიჭიერი პოეტი მზურვალე ტაშის ცემით და შევნიერი თაიგულებით.

„**შეგობარი**“ წერს: მთარგმნელის პიროვნებამ დაასვა თვისი დაღა და რუსული ენის ბუნებამ თვისი შოითხოვა. ასრულდა ის, რისაც ეშინოდა ევროპის ორ დიდ ქურუმს, რომელთა აზრი თვით ბალმონტმა გაიხსენა. ინგლისელთა ლირიკოსი შელი თარ

გმანს ადარებს მოწყვეტილ იას, რომელსაც არაოდეს არ შეუძლია თავისსავე თავს შეედაროს, ოდეს იგი ბუნების წიაღში მორცხვით იშლება. ეს შიში აფსრულდა შელის და მისი იასებრ სათუთი, ნაზი ლექსი კ. ბალმონტის თარგმანში დაემსგავსა გამშრალ იას. მეორე აზრი ეკუთვნის ესპანელ მოგვს—სერვანტესს. იგი ამბობს: „**თარგმანი იგივე ქსოვილი იქნება, მხოლოდ ქვედა-პირითო!**“. ორივე დებულების გასაბათილებლათ კ. ბალმონტმა თავის წინასიტყვაობაში ისა თქვა, რომ ხო შეიძლება ხელოვნური სურნელება იისა იმავ იის ბუნებრივ მომხიბლელობას უღრიდესო. მარა ჩვენ რუსის მგოსანს აქ ვერ დავეთანხმებით. ბუნების წიაღს შობილი, უშვამავლოთ შექნილი, საკუთარ წვაში გამობრძმედილი მუდამ მალლა იდგომილება, ვიდრე მისი სხვა სახით, თუნდა ვირტოუზული მოჩვენება. აქაც, თუ ასე მოხდა, გასაკვირი არ არის. კ. ბალმონტმა ქმნა ის, რაც შეუძლია გააკეთოს ზენა ნიჭით ცხებულ ადამიანს და ყოველი საშველება გამოიყენა, რაც-კი შეუძლია მის განკარგულებაში იყოს თვით ენის მხრით. რა ქმნას „**კარგმა მონარდმა**“, თუ კი მისივე დაკვირვება ქართული და რუსული ენის ბუნების პარალელისა—გადაუვალი და ამაყო, თვალშეუწვედენელი მეფური კავკასიონი და, თუმც აგრეთვე ბუმბერაზი, ხოლო გასწვრივ გაწოლილი თვარუწვედენელი მიდვრები რუსეთისა, ისე სხვადასხვა თვით გამოსახულება ამ სხვადასხვა ტერიტორიაზე მოსახლე ერთა აზროვნების გამომსახველი საშველებისა. ყოველ ენას აქვს თვისი სტილი, თვისი ბუნება. თუ რუსული ნაზია, ელასტიური, ქართული მკვეთრია, შორაკრავე, ვით მთის წყარო, იგივე მოქნილი, მარგალიტებრ მოგოგმანე და, ვით სპეკტრი მოელვარე. ქართული ნაჭეღია, რუსული მოქსოვილი. ქართული მჭჭეფარე, ფაფარ აყრილი გიყმაყი როონია, მყვირალა პონტი მოდუდუნე მტკვარი, ხოლო რუსული მოლივლივე ზედა პირი ფოლდის, თუ დნებრისა. თვით თანხმოვანი ჩვენი ენისა ორჯელ ხმოვანია იმავ რუსული

თანხმოვანისა, ხმოვანიც უფრო ცხადია და ხმა-მალალი, ვიდრე რუსთა ხმოვანები. მიზეზი ამისა—ლალი, თამამი, თუ გნებავთ, თავხედაც ბუნებაა ქართველისა: ფიზიკური და სულიერი და შებოქვილი, ქედმოხრილი, თან შოუხეშავი ბუნება რუსისა.

ასეთ პირობებში ნაშრომი ბ. ბალმონტისა ფრიად მოსაწონია, ჩვენი საუნჯის უმჯობესათ გადაცემა რუსულათ ჩვენ არა გვეგონია შესაძლო იყოს. აღსანიშნავია ის საერთო კოლორიტი, რომელიც თარგმანმა, ჩემის მოჩვენებით, უფრო ცხადყო, ვიდრე ორიგინალმა. ეს არის ნათესაობა „ვეფხის ტყაოსნის“ კოლორიტისა დასავლეთ-ევროპის, მის თანამედროე ეპოქის კოლორიტთან. ბალმონტის სმენის დროს ნათლათ აღიშართა ჩვენ თვალწინ საშვალ საუკუნოების ციხე-კოშკები, მაშინდელ რაინდთა აჩრდილი წარმოდგა გონების თვალწინ. იქნებ, ეს გარეშე მიზეზის ბრალი იყოს, სახელდობ მისი, რომ ამ მხრით „ვეფხის ტყაოსანს“ არავენ მისდგომია საგანგებოთ, თუ აკადემიკოსის მარის გაცვრით შეხებას არ მივიღებთ სახეში.

შემდეგ ამისა, უნდა აღინიშნოს მცირე, მარა მეტათ ხელის შემშლელი, განსაკუთრებით ესტეთიური განცდისთვის, შეცოდებანი. გასაკვირია, როგორ არ ესამუშება რუსის პოეტის მაღალ მუსიკალურ სმენას, მის თარგმანში ნახსებია „გარეული ვირი“, (აღბათ, რუსთველის კანჯარი) და ვერ გამოვიგია, რათ არ გაუწია ანგარიში მგოსანმა იმ ცნებას, რომელსაც ამ ჟამათ გამოსახავს სიტყვა: სლდათი. იგი განსაკუთრებით ჩვენთვის ისეთ ასოციაციას იწვევს, ისეთი შინაარსი აქვს, რომ ეს ტერმინი რუსთველისთვის სრულიათ გამოუსადეგარია. თუ ბალმონტი თავს იმით იშართლებს, რო ფილოლოგიურათ ეს სიტყვა თვით საშვალ საუკუნოებიდან მოდის, სახელდობ ლათინურიდან, შემდეგ საფრანგეთის ტერიტორიაზე გადასულ გერმანელებს შეუთვისებიათ და მათკი რუსებისთვის უსესხებიათ, ხოლო ამ უკანასკნელს ჩვენს ჟარგონშიც შემოუტანია, მაშინ დროს უნდა

მიემართოთ და ჟამთა მიმდინარობის მიერ ჩანერგილ თვისებათ გაეუწიოთ ანგარიში.

შესავალი პოემისა უფრო ძნელი სათარგმნი — ჩვენ უფრო დაშორებულათ მოგვეჩვენა ორიგინალთან, საერთოდ, შიგადაშიგ შემდეგაც არის შეცოდებანი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რო ყოველივე ამას შეასწორებს მგოსანი დაბეჭდამდი, რათგან იგი მუშაობის ევროპულ სისტემას მისდევს. აღბათ, რაც, სხვათა შორის, მიზეზიც-კი უნდა იყოს იმისა, რო ჯერ კიდევ დაუთმავრებელ თარგმანს გვაძნობს საჯაროთ.

თარგმანმა მგოსანში ვერ პოვა სათანადოდ აღმასრულებელი, ე. ი., მე მინდა ავნიშნო, რო მგოსანს ესტრადისთვის სათანადოდ მასალა არა აქვს: ერთი ხმა და, მეორე, ტემპერამენტი. ნურავინ იფიქრებს, თითქოს მე ვამბობდე—ბალმონტი ვერ, ან არ განიცდიდეს რუსთველის ქმნილებას, მაშინ ხო მისი შემოქმედებაც (თარგმნიც შემოქმედებაა, განსაკუთრებით პოეტური ნაწარმოების პოეზიის სამოსელში გადმოცემა) ვერ იქნებოდა ასეთი მომხიბვლელი. ბალმონტი იწვის რუსთველით, მარა საკუთერივ წვა, თავისთვის განცდა სხვაა, და სასცენო, გადმოსაცემო ცეცხლი კიდევ სხვა. არ მოგვეწონა ზომა, რა ზომითაც კითხულობდა პოეტი. მისი ხმების გაძქელება, ვითომ მუსიკალობის შესაქმნელათ მონოტობას ქმნიდა მხოლოთ და, თუ ბალმონტი იმას დაემყარა, ძველათ „ვეფ. ტ-ს“ კითხვას მუსიკალურ რითმს ამყარებდენ, ქართული მუსიკალობა და სლავიანური რითმი ბუნებრივათ სხვადასხვაა. რაც შეეხება რითმას, მგოსანი ცდილა, რუსთველის ყოველი სტრიქონის სამ-სამი ბოლო რითმა, ნაქედი და მოჩხრიალე აენაზღაურებია რითმების გაორებით. მარა, თუ რუსთველის ლექსი მთიდან გამოვარდნილი ჩანჩქერია, რომელიც სივრცეში მარგალიტებათ ელვარებს, ეცემა ძირს ქაფათ იშლება და მარგალიტის ცვრებათ ლაპლაპებს, ბალმონტის რითმა დანაწილებულია სტრიქონებს შუა, გრეხილათ აბამს მუსიკას, ბალმონტი სწორ ხაზს ირჩევს. მე მგონია, სხვა საშვალეების გამოძებნა ძნელი იყო. აი, ის შენიშვნები, რომელიც შესაძლო იყო ქალაქლდზე

გადაგვეტანა საგაზეთო საშური მასალისთვის ლამის წყვილიაღში თარგმანის მხოლოდ ერთხელ მოსმენის შემდეგ.

სალამი და გულ წრფელი მადლობა მგოსანს ასეთი კეთილსინდისიერი ღვაწლისთვის. მხოლოდ იმას, ვინც ღირსეულად გავვიცნობს შეუძლია დაგვაფასოს ჩვენ და ჩვენც მუდამ შესაფერისათ დავაფასებთ ჩვენს ერთგულ, გულწრფელ მეგობრებს. იწყება ახალი ხანა ჩვენისა და რუსთ მოწინავე ინტელიგენციის დამოკიდებულებისა... ჩვენც ფიზიკალურ მოვლევით ამ საქმეს და ვიმედოვნებთ შესაფერისი ნაყოფი გამოიღოს. ბედნიერ იყოს ეს ახალი კავშირი და გავვიმარჯვოს ორივე მოკავშირეს: მოწინავე რუსეთსა და ლალ საქართველოს.

„სამშობლო“ წერს:

როდესაც ბალმონტისგან ნათარგმნს და მისგანვე წაკითხულ შოთა რუსთველს ვისმენდი თავში რუსული ანდაზა მიტრიალებდა: ცელი ქვას წაატყდა. შოთა რუსთველი ქვა არის, ერთი იმ ბედნიერ ქვათაგანი, რომელსაც წინამოდევ ლორდის ქვისა, ბუნებამ უსრულესი სილამაზე მისცა. რგვალა—ისე, როგორც მხოლოდ ცირკულით შეგიძლიათ ასწეროთ, ან კიდევ ისე, რომელსაც ხაზავს ხოლმე წყალი, როდესაც ჩვენ მასში კენჭებს ვისვრით. დასიპია, ვით მთვარე! მარა ბალმონტი—ცელი ნამდვილი ფალოდი. ის იმ სალესავით არის გალესილი, ჩვენში რო „ქასურს“ ეძახიან. ბალმონტი შოთა რუსთველს მოხვდა და ამ მოხვედრებამ წკრიალა ხმა გამოიღო. როგორი იქნება ბალმონტის თარგმანი, ამის თქმა ისევე შეუძლებელია ახლა, როგორც ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვზე თქვა: ბიჭი იქნება, თუ გოგო! თარგმანი ჯერ პროცესში იმყოფება და შესაძლებელია ბევრი ცვლილება და შესწორება გამოიაროს თვით მთარგმნელის მიერვე. მარა მიღებულია, რო ლამაზ მშობლებს, ლამაზი ნაყოფი უნდა ეყოსლოსო და, ცხადია, ორგინალი შოთა რუსთველისა, ბალმონტის შევნიერ თარგმანს გამოსცემს.

ამის საბუთები უკვე ახლავე არსებობენ. შე მოაცებდა ის სიზიფის შრომა, რომელიც გაუწევია ბალმონტს. აქამდე შე მეგონა, რო

Рааръшено. Воен. Цензоръ.



ყველაზე ძნელი სათარგმნავი დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ იყო. რითმებს დანტეს თხზულებაში უპირატესი მნიშვნელობა აქვს. გერმანული თარგმანი დანტეს კომედიისა ისეა დაწერილი, როგორც იწერება ორი უკანასკნელი ტაეპი სონეტისა—ეს კი დიდ სამუშაოს წარმოადგენს. მარა ბალმონტმა დავემტკიცა, რო „ვეფხის ტყაოსნის“ თარგმანი გაცილებით ძნელი ყოფილა „ღვთაებრივ კომედიაზე“. მარა მას უძლევეა ეს სიძნელე. თარგმანი აშენებულაშინა რითმათა მუსიკალაბაზე და ბოლო რითმათა დაბოლობაზე. არ ვიცი, იცოდა თუ არა ბალმონტმა, რო თიქმის ასევეა დაწერილი შავეთელის „აბდულ მესია“. მარა პირად დასკვნათაც რო მივილოთ პოეტისგან მიღებული ასეთი ზომა, იგი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რამდენათ კარგათ გაუგია ქართული ლექსის ბუნება მას და მით უმეტეს ისეთი თხზულების მუსიკა, როგორც არის „ვეფხის ტყაოსანი“.

რა დავმართება იმ მარგალიტებს, რომლებიც გაბნეულია შოთა რუსთველის პოემაში? აი, რა აწუხებს ბევრს. თარგმანი რომ ორიგინალს მუდამ ჩამოუვარდება, ეს ყველა ნაწარმოების საერთო ბედია. მარა არასოდეს ეს დიდ ნაკლათ არ ყოფილა არსად მიჩნეული. მხოლოდ ის იყო ბედნიერი, ვინც პირველათ თქვა სიტყვა „ღმერთი“. დანარჩენები მხოლოდ ვიმეორებთ მას და ხშირათ პირველ ექსტაზ მოკლებულათაც—მარა ღვთის დიდება ამით არასოდეს არ დამცირებულა. ასეა აქაც. ის, რაც რუსთველმა თქვა, ამისი ისევე თქმა, თარგმანი შეუძლებელია. მარა რუსთველი მაინც იტოცხლებს ბალმონტის თარგმანში და არ დამცირდება. მუსიკა გაცილებით სწორია, როგორც ხელოვნება, თუკი შეიძლება ამის თქმა. მარა გამეორება იქაც-კი სუსტია ხოლმე. ასეა ფერადებში, მით უმეტეს ასეა სიტყვაში. მარა სიტყვას აქვს სხვა თილისმა, თილისმა სულისა და აზრის შენახვისა და გადაცემისა და ბალმონტის სიტყვები-კი სწორეთ ამ თვისებებით არიან შემკულნი.

რედაქტორ-გამომც. ს. შქედლიძე.

Типография „Братство“. Кутаиси.

უოველდღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

 „სახალხო ფურცელი“ 

(ნახატებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ. Газ. „Сахалхо Пурцели“, Поч. ящ. № 190.

თფილისის წიგნის მაღაზიეზი იყიდვზა

გ. თუმანიშვილის წიგნებ:

Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაპ.

Характеристика и воспоминанія,

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები. — ქართული თე-
ატრი. — რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შეესებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Въ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.